პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 21, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. პ. | გვ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 173 (1028) პარასკევი 1 აგვისტო, 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 173 (1028)

დღიური

— ზემო-სილეზიაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.
— ესპანელები მაროკოში სასტიკად დამარცხდნენ.
— ვარშავის ცენტრალური ციხის პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს.
— ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იუზი ბერლინში შაბათს ჩავა.
— ლონდონში პურის ფასები გაიზარდა.
— იტალიელმა ფაშისტებმა დასჭრეს ინგლისელი ადმირალი ლოგსონი.
— ბრაზილიის აჯანყებულები საბოლოოთ დამარცხდნენ.
— ინგლისმა სამხედრო გემი გაგზავნა ბრაზილიაში,
— ეგვიპტის პრემიერი ზაგლულ-ფაშა ევროპაში ჩავიდა.

ომის წინააღმდეგ

მუშებს, წითელარმიელებს და ყველა მშრომელებს

ამხანაგებო!

დღეს სრულდება ათი წელიწადი იმ დღიდან, როდესაც კაპიტალის უსაზღვრო გაუმაძღრობამ მოძმეთა სისხლის ღვრაში ჩაითრია ტანჯული კაცობრიობა.

განვლო ათმა წელმა მას შემდეგ, როდესაც კაპიტალის მსახურთა მე-2 ინტერნაციონალის ბელადების მიერ გაცემული მშრომელი მასები დარჩნენ მოტყუებულნი და ჩაებენ მტაცებლურ ომში ფინანსიურ კაპიტალის ერთი მუჭა მაგნატების გამდიდრებისათვის.

ექვსმა წელმა განვლო ომის ფორმალურად დამთავრების დღიდან, მაგრამ ომი ფაქტიურად გრძელდება, კაპიტალიზმის ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი იმპერიალიზმის სტადიაში მწვავდება და შესაძლებელია გადაიქცეს ახალ სისხლისღვრად, რომელიც იქნება უფრო საშინელი, უფრო გამანადგურებელი, ვიდრე ის, რაც იყო 1914 წ.—1918 წ., ვინაიდან ბურჟუაზიას ემსახურება დღეს თანამედროვე ტეხნიკის, ავიაციის და ქიმიის ყველა მიღწევანი.

არ დაუჯეროთ სოციალ-გამცემლებს, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე და ფარავენ თავიანთ ღალატს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დემოკრატიის და სოციალიზმის შესახებ.

ისინი უღალატებენ პროლეტარიატის ინტერესებს ისევე, როგორც 1914 წელს.

კაცობრიობის ხსნა დაღუპვისა და განადგურებისაგან და საბოლოო მშვიდობიანობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობის გზით.

განაცხადეთ პროტესტი ახალი ომის წინააღმდეგ.

გადით ქუჩაში დღეს მწყობრი რიგებით იმპერიალიზმის, მე-2 ინტერნაციონალის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მთელი მსოფლიოს მშრომელები მზად უნდა იყონ იარაღით ხელში ახალი საშიშროების შესახვედრად.

გზა კაპიტალიზმის დამხობისაკენ—**სამოქალაქო ომი, პროლეტარიატის დიქტატურაა—აქეთკენ მოუწოდებს მთელს მსოფლიოს პროლეტარიატს კომინტერნი**

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ საბჭოთა მიწის ერთ მტკაველსაც კი არ დაუთმობთ იმპერიალიზმს.

თუ გსურს მშვიდობიანობა, ხელი შეუწყვე და გაამაგრე წითელი არმია.

ომი ომის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მომავალი მსოფლიოს სოციალისტურ რევოლიუციას, ერთად-ერთ საშუალებას ახალ იმპერიალისტურ ომების მოსასპობათ!

გაუმარჯოს კომინტერნს—მშვიდობიანობისა და ხალხთა ძმობისათვის მებრძოლს!

ძირს იმპერიალისტები, რომლებიც ამზადებენ ახალ ომებს—ძირს შემთანხმებელი მენშევიკები—ომის დამხმარეები და წამქეზებელნი!

საქ. კომპარტ. თბილისის კომიტეტი.
საქ. პროფკავშირთა საბჭო.
თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო.

ყველა—დემონსტრაციაზე

საერთაშორისო ომის დასაწყისიდან განვლო 10 წელმა და ჩვენ ისევ ახალი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში ვართ.

კაპიტალისტური სახელმწიფოები დღესაც გაფაციცებულ სამზადისში არიან; დღესაც შეუწყვეტლივ მუშაობენ მათი სამხედრო ქარხნები კაცობრიობის გამანადგურებელ ახალ საშუალებათა და ნივთიერებათა დასამზადებლათ; მათი უაღრესად განვითარებული მეცნიერება და ტეხნიკა დღესაც სამხედრო მიზნებისთვის მუშაობს. ყოველი დღე და ყოველი წუთი გვიახლოვებს ძმათა სისხლისმღვრელ ახალი ომის დასაწყისს.

ცხადია, რომ ჩვენ გულგრილათ და მოსვენებულათ ვერ ვუყურებთ იმპერიალისტურ ავაზაკთა მზადებას ახალ საშინელ და უდიდეს ბოროტმოქმედებისათვის. ჩვენ დაუნდობელ ბრძოლას უცხადებთ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის მოციქულთ, ბურჟუაზიას და მის დამქაშებს სოციალ-შემთანხმებლებს.

მუშათა კლასმა წარსული ომის გამოცდილებით იცის, თუ როგორ არასაიმედოა მეორე ინტერნაციონალი ომის საკითხში, ისევ როგორც სხვა საკითხებშიც. მუშათა კლასმა უკვე იცის მათი ფიცის და ლაყბობის ღირებულება.

მეორე ინტერნაციონალის თვალთმაქცური და ფარისევლური პოლიტიკა ჩვენ უკვე გამოვიტანეთ სააშკარაოზე. სოციალ-შემთანხმებლებს ადგილი არ ექნება რევოლიუციონურ მუშათა კლასის ოჯახში. მაკდონალდს და მის მოძმეთ დღეს მხოლოდ ბურჟუაზია ანდობს თავის ბედილბალს.

რევოლიუციონური მუშათა კლასი კი მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ აწყობს თავის რკინის რიგებს და ემზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის მოსასპობად. ყველა ქვეყნის ჩაგრულ-ტანჯულთა ხმა უერთდება კომინტერნში გაერთიანებულ მუშათა კლასის ხმას და სასიკვდილო განაჩენს უმზადებს ყველა ჯურის და სახის იმპერიალისტურ ავაზაკებს.

მსოფლიოს ბურჟუაზიას დღეს ისე თავისუფლად არ შეუძლია თარეში, როგორც 1914 წელში. დედა-მიწის ერთ მეექვსედზე უკვე ამაყად ფრიალებს დროშა სოციალისტური რევოლიუციისა. საბჭოთა კავშირი გასაქანს არ მისცემს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ზრახვებს; ბურჟუაზიამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის შტაბთან—კომინტერნთან ერთად შეეცდება გადააქციოს იმპერიალისტური ომი იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის მომსპობ ომათ.

წარსული ომით მომზაადდა ნიადაგი კომუნიზმის გამარჯვებისთვის დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. კომინტერნი შეეცდება ახალი ომის დაწყების შემთხვევაში თავისი ძლევამოსილი დროშის მთელ მსოფლიოში ამართვას.

მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა კლასს. მესამე ინტერნაციონალი წაიყვანს მას საბოლოო გამარჯვებისკენ.

დღეს თბილისის პროლეტარიატი შეუერთებს თავის ხმას ომის მოწინააღმდეგეთ. თავის ძალების მრისხანე დემონსტრაციით ის დაამტკიცებს, რომ მზად არის კომინტერნის დროშის ქვეშ ბრძოლისთვის ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა და სოციალ-შემთანხმებელთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზია ემზადება იმპერიალისტური ომისთვის, პროლეტარიატი კი მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისთვის!

ყველა დემონსტრაციაზე!

რ. კ. პ. და ომი

ბოლშევიკების დამოკიდებულება ომისადმი ყველაზე უკეთ გამოხატა პარტიის ც. კ. მანიფესტმა, რომელიც გამოშვებული იქნა ოქტომბერში და დაიბეჭდა 1914 წ. 1-ლ ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატ"-ში. (გამოდიოდა შვეიცარიაში) საერთო სიძულვილის, შოვინიზმის, ნაციონალისტური დაბრმავების, ბურჟუაზიული და სოციალ-პატრიოტული პრესის შემატკბილებელ ყაყანში იმის შესახებ, რომ სწარმოებს ომი „გერმანიის მილიტარიზმის" წინააღმდეგ, „მუდმივი გერმანული საშიშროების" წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) შორის გულის ამაყუჩებელი ერთსულოვნებისა და სრული შერიგების პირობებში, ბოლშევიკების ულმობლად ფხიზელი, მკვეთრი და „ტლანქი" სიტყვა ომის შესახებ, გაისმა, როგორც მათრახის მოქნევის ტყლაშუნი იდილიურად განწყობილ მენშევიკურ-კაპიტალისტურ ხროვაში.

მანიფესტი სასტიკად ილაშქრებს სოციალისტური პარტიების შოვინისტური გატაცების წინააღმდეგ და ულმობლად ააშკარავებს იმპერიალისტური სისხლის ღვრის ნამდვილ კლასობრივ არსს. მანიფესტი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„ევროპის ომმა, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდენ ყველა ქვეყნების მთავრობები და ბურჟუაზიული პარტიები, იფეთქა. შეიარაღების ზრდას, მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების უახლოეს იმპერიალისტურ სტადიაში ბაზრებისათვის ბრძოლის არაჩვეულებრივად გამწვავებას, აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მონარქიების დინასტიურ ინტერესებს უნდა გამოეწვიათ და კიდეც გამოიწვიეს ომი. ტერიტორიების დაკავება და უცხო ერების დაპყრობა, მეტოქე ერის გაღატაკება, მის სიმდიდრეთა მითვისება, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოსაშორებლად შინაგან პოლიტიკური კრიზისებისაგან რუსეთში, გერმანიაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში, მუშებში უთანხმოების შეტანა და მათი ნაციონალისტურ ბურუსში გახვევა და პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის შესუსტების მიზნით მისი ავანგარდის განადგურება,—ასეთია თანამედროვე ომის ერთად ერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი".

მანიფესტი სასტიკად ამხილებს ყალბ, ბურჟუაზიისაგან ნასესხებ ლოზუნგებს სოციალ-ობორონცებისას, რომლებიც მოუწოდებდენ მასებს ბრძოლისაკენ „კულტურისათვის", „ცივილიზაციისათვის" გერმანელი „ბარბაროსობის" წინააღმდეგ.

ამ ლოზუნგების უაზრობა და მოღალატური შინაარსი მით უფრო აშკარა იყო რომ ამავე დროს, გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატებიც მოუწოდებდენ გერმანელ მუშებს ებრძოლათ აგრეთვე „კულტურისათვის", „ცივილიზაციისათვის" და აგრეთვე რუსული და ფრანგული „ბარბაროსობის" წინააღმდეგ.

ერთად ერთ გამოსავალს სისხლისმღვრელი ომიდან ბოლშევიკები ხედავდენ მუშებისა და გლეხების ურთიერთ განადგურების იარაღის მიმართვაში კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. „თანამედროვე იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად,—ერთად ერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგია",—აცხადებს მანიფესტი. „ყველა ქვეყნებში, ომი დღის წესრიგში აყენებს სოციალისტური რევოლიუციის ლოზუნგს".

საერთაშორისო სისხლის ღვრის კაპიტალიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლად გადაქცევის ამ ლოზუნგს ბოლშევიკები ატარებდენ იმ დროს, როცა ყველა სოციალისტური პარტიები ნაციონალისტურმა სიგიჟემ შეიპყრო როცა სოციალ-დემოკრატები მოუწოდებდენ მუშებს „გამარჯვების ორგანიზაციისა" და „მტრის დამხობისკენ", როცა ბოლშევიკების პატარა ჯგუფის წინააღმდეგ დარაზმული იყვნენ მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიები, როცა პლეხანოვი აღიარებდა, რომ „მეფე სამართლიან ომს აწარმოებს", ხოლო შეიდემანი, ვანდერველდე, და ალბერ ტომა მხარს უჭერდენ თავის მთავრობებს ერთმანეთის წინააღმდეგ და არწმუნებდენ მუშებს, რომ მათი იმპერატორი, მეფე და პრეზიდენტი აგრეთვე „სამართლიან" ომს აწარმოებენ.

მაგრამ იმპერიალისტური ომის იარაღის სოციალისტური რევოლიუციის იარაღად გადაქცევის იდეა არ შეადგენდა მარტო რუსი ბოლშევიკების კუთვნილებას,—ის ფრიად პოპულიარული იყო რუსეთის მუშებში. ომმა შესწყვიტა რუსეთში დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობა. ომმა მოულოდნელად გაუსწრო მასებს. მენშევიკ-ლიკვიდატორები მოუწოდებდენ მუშებს ეომათ გერმანიის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მხარი დაეჭირათ მეფის დესპოტიზმისათვის. სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მენშევიკები ატარებდენ გაფიცვების ჩაშლისა და „თავდაცვისათვის" მუშაობის „ენტუზიაზმის" შექმნის პოლიტიკას.

მიუხედავათ ამისა მასები ინსტინქტიურად ილტვოდენ რევოლიუციისაკენ, იმპერიალისტური ომის საბოტაჟისაკენ და ეძებდენ ორგანიზაციულ კავშირს პარტიასთან, რომელიც არ მოექცა შოვინისტური გავლენის ქვეშ. მუშები კავშირს იჭერდენ. სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან, უგზავნიდენ მას თავის რეზოლიუციებს და დადგენილებებს ომის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის საჭიროების შესახებ. თავის მერივ სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია ენერგიულ პროპაგანდას აწარმოებდა მუშებს შორის ც. კ. მანიფესტის მიხედვით. ჩქარა მთელი ფრაქცია (ბადაევი, პეტროვსკი, მურანოვი, ბაგოვი და სამუილოვი) დაპატიმრებული იქნა და მათთან ერთად დააპატიმრეს ც. კ. რუსეთში მყოფი წევრები (მათ შორის ამხ. კამენევიც). მეფის სასამართლომ დაპატიმრებულებს მრავალი წლის კატორღა მიუსაჯა.

ბოლშევიკური ორგანიზაციის დანგრევამ რუსეთის შიგნით, რამაც საშუალება მისცა ლიკვიდატორებს უფრო მეტის წარმატებით ეწარმოებიათ მუშებს შორის აგიტაცია ომის სასარგებლოთ, მაინც ვერ შეასუსტა ბოლშევიკების მოღვაწეობა,—ომის საერთაშორისო რევოლიუციის ბაზათ გადაქცევის იდეის პროპაგანდა.

„სოციალ-დემოკრატი" შვეიცარიაში, ამხ. ლენინისა და ზინოვიევის რედაქტორობით და „ნაშე სლოვო" პარიზში, ამხ. მანუილსკისა-ანტონოვ-ოვსეენკოს რედაქტორობით, სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებდენ საერთაშორისო მენშევიზმის ობორონცული პოზიციების წინააღმდეგ და პროლეტარიატს რევოლიუციონური აჯანყებისაკენ მოუწოდებდენ. ამხ. ლენინი და ზინოვიევი იმავე დროს ორგანიზაციულ მუშაობასაც აწარმოებდენ საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობაში რევოლიუციონური ელემენტების შესაკავშირებლად. აქედან წარმოიშვა ციმმერვალდის კონფერენციის მემარცხენე ფრთა და ამით ფაქტიურათ საფუძველი ჩაეყარა მომავალ კომინტერნს.

ამავე დროს გრძელდებოდა ბოლშევიკების სააგიტაციო მუშაობა რუსეთში. სათათბიროს ფრაქციისა და ც. კ. წევრების დატუსაღებამ ვერ შეასუსტა, ვერ შესწყვიტა პარტიის მუშაობა. პეტროგრადის კომიტეტის მოწოდებები და პროკლამაციები ააშკარავებდენ მენშევიკ გვოზდევისა და სხვა მენშევიკების როლს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და მოუწოდებდენ მუშებს ბრძოლისაკენ ომის, თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ამ მუშაობამ შემდეგში საგრძნობად გაუადვილა პარტიას ბრძოლა არა მარტო მსოფლიო ომის, არამედ კერენსკის წინააღმდეგაც. ის ფაქტი, რომ 8 თვე არ დარჩა საჭირო, რათა ომისგან რევოლიუციონური გზით გამოსვლის იდეას დაეპყრო მასები, შედეგია აგრეთვე იმ მოსამზადებელი—სააგიტაციო მოღვაწეობის, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ეწეოდა არალეგალურად.

კომუნისტურმა პარტიამ შესძლო არა მარტო მოეწოდებია, არამედ დაენახვებია ყველასათვის, თუ როგორ ხორციელდება ინტერნაციონალიზმის ლოზუნგები. და ამაშია ჩვენი პარტიის უდიდესი ისტორიული დამსახურება მსოფლიო მუშათა მოძრაობის წინაშე.

ს. ი.

მსოფლიო ომი და მეორე ინტერნაციონალი

ათმა წელმა განვლო მსოფლიო ომის დაწყების დღიდან და უკვე ჩვენ თვალწინ მზადდება ახალი, საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც თავისი საშინელებით და გამანადგურებელი ძალებით წინ გაუსწრობს 1914—1919 წ. წ. სისხლის ღვრას. ჩვენი თვალები, ბუნებრივად, მიპყრობილია, 1914 წ. ივლისის დასასრულის და აგვისტოს დასაწყისის საბედისწერო დღეებისაკენ.

როგორი სურათი იშლება ჩვენ თვალწინ? ომამდე სოციალისტური პარტიები და მე-2 ინტერნაციონალის პარტიები და მთელი მეორე ინტერნაციონალი ფიცს სდებდენ არ დაუშვებენ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას ისინი ემუქრებოდენ კაპიტალისტებს და ბურჟუაზიულ მთავრობებს, რომ, თუ ისინი გაბედავენ მსოფლიო ხანძრის დანთებას, სოციალისტები სოციალური რევოლიუციის საწინააღმდეგო ცეცხლით შეხვდებიან მას. ბაზელის კონგრესზე 1912 წ.—რომელიც მოწვეული იყო სპეციალურად ომის საკითხის გადასაჭრელად, მეორე ინტერნაციონალმა ზეიმით დასდო აღთქმა. რომ ყოველ ძალ-ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუშალოს ომს. „თუ ომი, ვკითხულობთ ბაზელის მანიფესტში, მაინც დაიწყება, მუშათა კლასის და მისი პარტიის მოვალეობაა მიაღწიონ ომის რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებას და ყოველ მხრივ გამოიყენონ ომისაგან გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი ხალხში თვითშეგნების გასაღვიძებლად და კაპიტალის კლასიურ ბატონობის დაღუპვის დასაჩქარებლად".

ასეთივე აზრს გამოსთქვამდენ 2-ე ინტერნაციონალის ცალკე სოცილისტური პარტიებიც.

მაგრამ გავარდა მეხი. დაიწყო ომი. რა გააკეთეს სოციალისტებმა?

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ განაცხადა:

„საშიშროების ჟამს ჩვენ ბედის ანაბარა არ დავტოვებთ სამშობლოსო"

გერმანელ სოციალ-პატრიოტებს ბანს აძლევდენ ავსტრიელი ამხანაგები, რომლებიც მოუწოდებდენ პროლეტარიატს შესწირონ თავის ქვეყანას „საკუთარი ქონება და სისხლი".

ანტანტის ქვეყნების სოციალისტებიც სწორედ ასევე მოიქცენ. საფრანგეთის სოციალისტებმა დალოცეს თავის სამშობლოს იარაღი და მოუწოდებდენ პროლეტარიატს დახმარება გაეწია მის გამარჯვებისთვის.

ვანდერველდემ, ბელგიის სოციალისტების სახელით, დასდო აღთქმა, რომ ხმას მისცემდენ ყველა კრედიტებს „რომელიც საჭირო იქნებოდა ეროვნული თავდაცვისათვის".

ინგლისის სოციალისტებს თავი მოჰქონდათ იმით, რომ მათ მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი მოხალისეებად გაგზავნეს მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში.

ამგვარად მე-2 ინტერნაციონალის წითელი დროშებით აკურთხეს მოძმეთა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც დაწყებულ იქნა ერთმანეთს შორის მოქიშპე ერთი მუჭა მდიდარ მტაცებელთა მოგებისათვის.

ატყუებდენ რა ხალხთა მასებს, მე-2 ინტერნაციონალის სოციალისტები სანგრებში ლამაზი სიტყვებით არწმუნებდენ პროლეტარებს, რომ ეს იქნება **„უკანასკნელი ომი"-ო.**

მაგრამ აი ომი მოუახლოვდა დასასრულს. გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს საზიზღარ მტაცებლურ ზავს, რომელიც თავზე მოახვიეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ბრესტში. ხოლო, როდესაც გერმანია დამარცხდა, 2-ე ინტერნაციონალის ანტანტის სოციალისტებმა თავისი ბეჭედი დაუსვეს ასეთსავე მტაცებლურ ვერსალის ზავს.

ვერსალის ხელშეკრულების დადების მომენტიდან განვლო სულ 5 წელმა. ეს 5 წელიწადი გატარდა ახალ [illegible] სისხლისმღვრელ ომისათვის [illegible]ბაში. 2-ე ინტერნაციონალის [illegible]ლისტები კვლავ სცდილობენ [illegible]ონ ხალხთა მასების სიფხიზლე, არწმუნებენ რა მათ, რომ ისინი ომს არ დაუშვებენ, ამავე დროს კი უშუალოთ იღებენ მონაწილეობას ახალ ომისათვის მზადებაში: გერმანელი სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ თავის ფაშისტებს, ინგლისის მუშათა პარტია „მუშათა მთავრობის" სახით აშენებს ტანკებს, დრედნოუტებს და საჰაერო ყუმბარების ფრქვეველებს, ხოლო საფრანგეთის სოციალისტები ხმას აძლევენ სამხედრო ბიუჯეტს.

მსოფლიო ომის პირველ ათი წლის თავს ჩვენ ვხვდებით ახალ საშინელ ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში. ეს ათი წლის თავი უნდა აღინიშნოს გაბედული ბრძოლით იმპერიალიზმის და იმ სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მშვიდობიანი სიტყვებით ფარავენ მტაცებელთა სამხედრო მზადებას.

ყოველი ახალი ომი პირდაპირ დაემუქრება ჩვენ მშვიდობიანობას, ჩვენს აღმშენებლობას, ჩვენ მონაპოვრებს, რომელიც მოპოვებულია აურაცხელი მსხვერპლით. მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ. თუ ახალი ომი დაიწყო, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მისთვის, რათა ყველა ხალხთა და ქვეყნების ჩაგრულ შვილებთან ერთად გადავაქციოთ მოძმეთა სისხლისმღვრელი ომი რევოლიუციონურ ბრძოლად შრომის განთავისუფლებისათვის

დ. შ.

ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ

მაკდონალდი კატეგორიულათ მოითხოვს რურის ევაკუაციას

საფრანგეთში ურიგდებიან აზრს რურის ევაკუაციის შესახებ

საფრანგეთი მოითხოვს წვლილის გადიდებას გერმანიისაგან მისაღებ თანხაში

საფრანგეთის აზრით, რურის ევაკუაციის საკითხი არ უნდა დაისვას კონფერენციაზე

ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა

ლონდონი. 30 ივლისი. კონფერენციის მუშაობის მსვლელობა ამტკიცებს, რომ საფრანგეთი და ინგლისი კონფერენციაზე მივიდენ დიამეტრალურათ საწინააღმდეგო თვალსაზრისით. **ინგლისი სცდილობდა დოუესის გეგმის გამოყენების გზით მიეღო კონტროლი გერმანიის სახალხო მეურნეობაზე, იმ მიზნით, რომ აღედგინა გერმანიის ბაზარი,** მაგრამ არა ისე, რომ გერმანიამ შესძლოს კონკურენციის გაწევა ინგლისისათვის. საფრანგეთს კი მიზნად **ჰქონდა გერმანიის მეურნეობის დაშლის უზრუნველყოფა და გერმანიის მთელი ნედლი მასალის ხელში ჩაგდებით საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის გასაძლიერებლათ.** ეს ძირითადი წინააღმდეგობა კიდევ უფრო გართულდა ამერიკის ჩარევით, რომლისთვისაც დოუესის გეგმა ერთად ერთი შესაძლებლობაა განთავისუფლდეს ოქროს ზედმეტი მარაგისაგან მისი გერმანიის და შუა ევროპის ბაზრებზე დაბანდებით, რომლებიც უნდა გადავიდენ ამერიკის კონტროლის ქვეშ. კონფერენციის მუშაობა გართულდა საკითხით მოკავშირეთა ურთიერთ ვალების შესახებ.

„მანჩესტერ გარდენ"-ი სწერს: „კერძო მოლაპარაკება კონფერენციაზე სწარმოებს უკვე არა დოუესის გეგმის, **არამედ მოკავშირეთა ურთიერთ ვალების პრობლემის შესახებ, რომლის განსახილველათაც ჩამოვიდენ საფრანგეთის ბანკირები ლონდონში.** სამხედრო ექსპერტებიც აგრეთვე იხილავენ საკითხს რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. **ამრიგათ, წმინდა-ეკონომიური პრობლემის განსახილველათ და დოუესის გეგმის განსახორციელებლათ მოწვეული კონფერენცია იხილავს ყოველგვარ დიპლომატიურ, სამხედრო და ფინანსიურ საკითხებს, და ერთი კონფერენციის მაგივრათ, მკაფიოთ გამოხატული დღის წესრიგით, ჩვენ გვაქვს რამდენიმეთ გენუის კონფერენციის მაგვარი კონფერენციები, რომლებიც საიდუმლოთ მუშაობენ.**

ერრიო კომპენსაციას მოითხოვს

ნაუენი 31 ივლისი. ლონდონის წრეებში მიღებულია ცნობები, რომ ერრიო სარეპარაციო კომისსიის უფლებათა შეზღუდვის ნაცვლათ მოითხოვს საფრანგეთის წვლილის გადიდებას რეპერაციებში. ერრიოს სურს, **რომ ინგლისმა უარი სთქვას თავის წვლილზე სარეპარაციო გადასახადებში იმ დრომდი, სანამ საფრანგეთი სრულად არ მიიღებს თავის 26 მილიარდ ოქროს მარკას.**

რურის ევაკუაციის გარშემო.

პარიზი. 30 ივლისი. პარიზის პოლიტიკურ წრეებში თანდათან უფრო მტკიცდება აზრი რურის ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ. ფიქრობენ, რომ სამხედრო **ოკუპაცია უბრალო ლოღიკური შედეგია ეკონომიური ექსპლოატაციის, ამასთანავე რურის ოკუპაციის მაგივრათ დადებული უნდა იქნეს საფრანგეთ-გერმანიის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება.**

გერმანია ანტანტის ბრჭყალებში

ბერლინი, 30 ივლისი. უკანასკნელ ხანებში შემჩნეული ოპტიმიზმი, ლონდონის კონფერენციის მიმდინარეობის გამო ცოტაოდნად შესუსტდა; უმთავრესად იმიტომ, რომ ერრიომ უეცრად შეიცვალა აზრი რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხის შესახებ და აგრეთვე იმის გამო, რომ ინგლისმაც შეიცვალა აზრი—კონფერენციაზე გერმანიის მიწვევის საკითხში. **გამოსთქვამენ შიშს, რომ ერრიო რურის ევაკუაციის ვადის საკითხში დათმობის საკომპენსაციოთ—მოსთხოვს მაკდონალდს საფრანგეთის საზღვრების უშიშროების დაცვას და დაპყრობილ ოლქებში საფრანგეთ-ბელგიის რკინის გზელების დატოვებას. ამას ერთვის იმედის დაკარგვა კონფერენციაზე გერმანიის მოწვევის გადადების გამო.** ცუდი შთაბეჭდილება ძლიერდება აგრეთვე მით, რომ კონფერენციამ გადასწყვიტა მიიწვიოს ლონდონში სარეპარაციო კომისია. „ახტ ურ აბენდბლატის" ცნობით ბერლინში ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრის იუზის ჩასვლას მოელიან 3 აგვისტოს. გაზეთი ფიქრობს, რომ იუზის ევროპაში გამგზავრების მიზანია საერთაშორისო ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნა საბჭოთა კავშირის მიმართ ერთიანი პოლიტიკის საწარმოებლად.

საფრანგეთის ახალი წინადადება

ლონდონი. 31 ივლისი. ბრიტანეთის პრესის ცნობებით, საფრანგეთის დელეგაციამ შეიმუშავა ახალი ფორმულა, რომელიც გულისხმობს მიმართვას საარბიტრაჟო სასამართლოსადმი იმ შემთხვევაში, თუ სარეპარაციო კომისიაში ადგილი ექნება აზრთა სხვადასხვაობას გერმანიის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხში. საფრანგეთის დელეგაციის აზრით, მხოლოდ არბიტრაჟს შეუძლია მოაგვაროს ის დაბრკოლებანი, რომლებიც წარმოსდგება ექსპერტთა გეგმის სხვადასხვაგვარი გაგებისაგან; დელეგაციის აზრით, არბიტრაჟი შესძლებს აგრეთვე ვერსალის ხელშეკრულების დაცვას.

დღეს საფრანგეთის ახალი ფორმულა განსახილველად გადაეცემა მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებს.

რურის ევაკუაციის გარშემო

ევაკუაციის გეგმა.

პარიზი, 31 ივლისი. საფრანგეთის და ბელგიის ექსპერტებმა იტალიის წარმომადგენლების მონაწილეობით საბოლოოთ **შეიმუშავეს რურის სამხედრო ევაკუაციის გეგმა,** რომელიც შემუშავებულია იმ ფორმით, როგორც კონფერენციის მიერ უკვე მიღებული ეკონომიური ევაკუაციის გეგმა. ამ გეგმის თანახმათ, რურიდან ჯარების გაყვანა დამოკიდებულია გერმანიის გადასახადებისაგან.

კელნის ზონის ევაკუაცია.

ნაუენი, 31 ივლისი. კელნიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, მიმდინარე კვირაში დაპყრობილ ოლქებში შეწყდება შენობების აგება საოკუპაციო ჯარებისათვის. ოპტიმისტები ფიქრობენ, რომ ეს არის მზადება რურის ევაკუაციისათვის.

შემდეგ იტყობინებიან, რომ ერრიო და გენერალი ნოლლე, მოითხოვენ იმას, რომ კელნის ზონის ევაკუაცია ბრიტანეთის ჯარების მიერ დაწყებული იქნეს იმ დროს, როდესაც დამთავრდება რურის სამხედრო ევაკუაცია, ე. ი. და ახლოვებით 1925 წ. 15 აპრილს.

დამატებითი ცნობებით, საფრანგეთი რურის ევაკუაციისათვის მოითხოვს ხანგრძლივ ვადას.

სცდილობენ შეთანხმდენ

ნაუენი, 31 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, დელეგაციები კონფერენციაზე გაფაციცებულ მუშაობას აწარმოებენ იმ მიზნით, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე კვირის ბოლოს მიაღწიონ წინასწარ შეთანხმებას. **ფიქრობენ, რომ შაბათს გერმანიას გაეგზავნება კონფერენციაზე მოწვევის ოფიციალური ბარათი.**

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენციის მუშაობა დადებით შედეგს გამოიღებს მიმდინარე კვირის ბოლოს.

სურვილი.

პარიზი, 31 ივლისი. „ევრ"-ი ამბობს, რომ ერრიომ კონფერენციას წარუდგინა საერთო გეგმა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შეთანხმება მოკავშირეთა შორის და დააწყნაროს ფინანსიური წრეების მღელვარება. გაზეთის სიტყვებით, 15 დღის მუშაობამ შემარიგებელი პირობების გამოსამუშავებლათ საკმაოთ ნათელყვეს საფრანგეთის კეთილი სურვილები.

საფრანგეთის დელეგაციის განცხადება.

რომი, 31 ივლისი. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმათ, კონფერენციის კომისიებმა განუცხადეს პრეზიდიუმს, რომ მიუხედავათ გულწრფელი სურვილისა წარდგენილი იქნეს შეთანხმების ტექსტი, ასეთის წარდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. მოლაპარაკება კიდევ რამოდენიმე დღეს გაგრძელდება.

საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის ხელს შეუწყობს შეთანხმების და მშვიდობიანობის აღდგენას, მაგრამ **ამასთანავე ის მოითხოვს, რომ დაცული იქნეს საფრანგეთის კანონიერი ინტერესები.**

გერმანიის სესხის საკი[illegible]

რომი. 31 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, კონფერენციის პირველი კომისია განაგრძობს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის სესხთან.

[illegible] ბრიტანეთის მრეწ[illegible] დეპუტატმა-კონსერვა[illegible] (დამახინჯებულია) თე[illegible] წინადადება შეიტანა [illegible] სესხის მიცემის წინა[illegible]დეგ, იმის გამო, რომ ეს სესხი საზარალოა და სარგებლობას არ მოუტანს ინგლისს.

კონფერენციის გამოძახილი

ოფიციალური პრესა კმაყოფილია.

პარიზი. 30 ივლისი. ოფიციალური პრესა მოკავშირეთა კონფერენციის უკანასკნელი სხდომის შედეგებს ხელსაყრელათ სთვლის, თუმცა ის გრძნობს, რომ კონფერენცია დიდხანს გაგრძელდება.

მემარჯვენე პრესა უკმაყოფილოა. კონფერენციის მუშაობის მსვლელობით, ის აცხადებს, რომ რურის ოკუპაციის შეწყვეტა არაფრით არ შეიძლება ანაზღაურებული იქნეს. მაგრამ ვერც ერთი სერიოზული ბურჟუაზიული პოლიტიკოსი ვერ ბედავს აშკარათ გაილაშქროს კონფერენციის წინააღმდეგ, რადგან ყველა გრძნობს, რომ ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს ფრანკის კატასტროფიულ დაცემას.

იუზის განცხადება.

პარიზში ჩასულმა ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა იუზმა საფრანგეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი აზრით, ლონდონის კონფერენციის ჩაშლას მოჰყვება მეტად სერიოზული შედეგები, რადგან მხოლოდ დოუესის გეგმის განხორციელებას შეუძლია ბოლო მოუღოს იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც განიცდიან ყველა ქვეყნები.

რურის საკითხი.

ჰავასის სააგენტოს ცნობებით, თანახმად საფრანგეთის ოფიც[illegible] თვალსაზრისისა, საკითხი რ[illegible] კუაციის შესახებ არ შედის [illegible] ნის კონფერენციის პრო[illegible] რადგან ის არ არის გა[illegible] ბული დოუესის გეგმაში. [illegible] **შეიძლება განხილული [illegible] ფერენციის მიერ მხოლოდ [illegible] თხვევაში, თუ გაფართოვებ[illegible] ნება მისი პროგრამა და იქ გა[illegible] ლული იქნება საკითხები უშიშროების, გარანტიებისა და მოკავშირეთა ვალების შესახებ.**

ერრიოს დეპეშა

პარიზი, 30 ივლისი. ერრიომ ლონდონიდან დეპუტატთა პალატას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის დელეგაცია, რომელიც სცდილობს გერმანიის სესხის ობლიგაციების მომავალ მეპატრონეებს მისცეს ყოველგვარი გარანტიები, **ამავე დროს ზრუნავს იმაზე, რომ შელახული არ იქნეს ვერსალის ხელშეკრულება და საფრანგეთის უფლებები.** საფრანგეთის და ბელგიის რკინისგზელების დატოვება რეინის მარცხენა ნაპირზე, **რჩება წინასწარ პირობათ გერმანიის მოწვევისათვის კონფერენციაზე.** მოლაპარაკება ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება საფრანგეთის მთავრობა მით აწარმოებს **მტკიცე გადაწყვეტილებით უზრუნველყოს საფრანგეთის უფლებები,** აღადგინოს შეთანხმება მოკავშირეთა შორის და განამტკიცოს მშვიდობიანობა.

რა ხდება პოლონეთში

საერთო გაფიცვა ზემო სილეზიაში.

ვარშავა, 30 ივლისი. იმედები ზემო სილეზიის კონფლიქტის დადებითად გადაწყვეტაზე არ გამართლდა. პოლიციამ მიიღო სასწრაფო ზომები და ის არ დაუშვებს რაიმე არასასურველ გამოსვლებს. **კვირას მთელი დღის განმავლობაში, ქალაქი კატტოვიცი გარშემორტყმული იყო პოლიციის რაზმით, რომელიც არ უშვებდა ქალაქში დემონსტრაციაზე მიმავალ მუშებს.** კვირას ღამით **დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტის ყველა წევრები.** მაგრამ, სამშაბათს კატტოვიციდან მიღებული იყო დეპეშა მუშებსა და მწარმოებლებს შორის გამართულ მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ; მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ზემო სილეზიის მთელს მძიმე ინდუსტრიაში გამოცხადებული იქნა საერთო გაფიცვა.

გერმანელების გადასახლება პოზნანიდან.

ვარშავა, 30 ივლისი. გერმანიასა და პოლონეთს შორის [illegible] ლაპარაკება სწარმოებს პოზნანში მცხოვრებ 30.000 გერმანელის [illegible], **რომლებსაც პოლონეთის [illegible] არ აძლევს პოლონეთის [illegible] მოქალაქეთა უფლებებს.** გაზეთების ცნობებით, მოლაპარაკებას შედეგათ მოყვა ის, რომ 10.000 გერმანელი მიიღებს პოლონეთის მოქალაქეობას, დანარჩენი 20.000 ერთი წლის განმავლობაში გადასახლებული იქნება პოლონეთის საზღვრებიდან.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირი და მექსიკა.

ნდონი, 31 ივლისი. „უნაიტედ პრესს“ აქვეყნებს მექსიკის საქმეთა სამინისტროს შემდეგ განცხადებას: „საბჭოთა წარმომად- წინადადება მისცა მექსიკის მთავრობას გამოსთქვას თავისი აზ- თა კავშირის ცნობის შესახებ. ამის გამო მექსიკის მთავრობა იაოდ აცხადებს, რომ მექსიკა აღიარებს თითეულ ერისათვის იყოლიოს ისეთი მთავრობა, რომელსაც ის უფრო მისაღებად თავისათვის. მექსიკის მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ ხე- ჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისათვის, თუ ასეთი ბა მოცემული იქნება, რასაც მოჰყვება მექსიკის დიპლომატიუ- მადგენლის დაარსება საბჭოთა კავშირში.“

ოკავშირეთა კონფერენცია ჩაშლის წინ.

უკანასკნელი სიტყვა..

ლინი, 31 ივლისი. მოკავშირეთა კონფერენცია კრიტიკულ უახლოვდება. ერრიოს უკანასკნელი წინადადება, რომ სა- ო კომისიას მისცემოდა გერმანიის მიერ თავის ვალდებუ- არშესრულების ფაქტის საბოლოოდ დადასტურების უფლე- ბა უარყვეს ინგლისელმა და ამერიკელმა დელეგატებმა. ერ- ომ ამ წინადადებას საფრანგეთის უკანასკნელ სიტყვათ სთვლის მხრივ ამერიკელები ცდილობენ გამოიყვანონ კონფერენ- ამ მდგომარეობიდან. თუ ეს არ მოხერხდა, ამერიკელები იტყვიან აქტიურ მონაწილეობაზე მოლაპარაკებაში და მე- ლყურეებად დარჩებიან.

უკანასკნელი დღეები.

ბერლინი. 31 ივლისი. გუშინ ღამით პარიზში ხმა გავრცელდა, ომ კონფერენცია ჩაიშალა. ამერიკელი გაზეთების ცნობით ერრიო ბრუნდება პარიზში, თუ მისი წინადადება მიღებული არ იქნა კონფერენციის მიერ.

ჩვენ და უცხოეთი

მექსიკა

მექსიკამ იცნო საბჭოთა კავშირი.

პარიზი. მექსიკის გარეშე საქმეთა სამინისტრო ოფიციალურათ იტყობინება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

იტალია

დაწვრილებითი ცნობები ალმაზში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

ინციდენტი ამოწურულია.

რომი. 30 ივლ. სამი დღის წინათ საბჭოთა წარმომადგენლობის ავტომობილი, რომელიც მიდიოდა წითელი დროშით, რომის ახლოს შეაჩერეს უცნობმა პირებმა, რომლებიც ფაშისტურ მილიციას ეკუთვნოდენ; **მათ იარაღის ხმარების მუქარით მოითხოვეს წითელი დროშის მოხსნა.** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იურენევმა, **დაუყოვნებლივ ენერგიული პროტესტი განუცხადა იტალიის მთავრობას ფაშისტურ მილიციის მოქმედების წინააღმდეგ. იტალიის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბის გამო და დაარწმუნა სრულუფლებიანი წარმო**[illegible]ენელი, რომ ერთ-ერთი დამნა[illegible] ყველასათვის[illegible]ბილია. [illegible]ქსანდრესკის პოლიცია და [illegible]დატი სასტიკათ იქნებიან [illegible]ი. [illegible]ილიციის აგენტებს ხელახლა მიეცათ ინსტრუქცია სათანადო პატივისცემით მოეპყრან საბჭოთა ემბლემას. იმავე დღეს სრულ-უფლებიან წარმომადგენლობაში მივიდა იტალიის მთავრობის წარმომადგენელი რომელმაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მუსოლინის სახელით ბოდიში მოიხადა მომხდარი ამბის გამო.

სტეფანის სააგენტომ ინციდენტის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იტალიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს ამ ინციდენტის გამო. ინციდენტი ამოწურულათ ითვლება.

პოლონეთი

გარეშე საქმეთა მინისტრის სკრჟინსკის განცხადება.

ვარშავა. 30 ივლისი. ვარშავის გაზეთ „ეხო“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა სკრჟინსკიმ განაცხადა: „პოლონეთი აღმოსავლეთ-ევროპის პრობლემის ძირითადი პუნქტია.

ჩვენ ვცდილობთ მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ გერმანიასთან და საბჭოთა კავშირთან, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში. პოლონეთი ღრმად დარწმუნებულია, რომ მისთვის ხელსაყრელია სატრანზიტო დამოკიდებულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის“.

ტერორი ბესარაბიაში

ვინნიცა. 31 ივლისი. უკანასკნელ ხანებში რუმინეთიდან აყარებული ლტოლვილები ჩამოდიან. ყოველდღიურად რუმინეთის საზღვრებს სტოვებენ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ეროვნულ უმცირესობათა ათეული ჯგუფები. ერთი გამოქცეულთაგანმა, ვერქილოვმა პრესის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუმინეთსა და ბესარაბიაში საშინელი თეთრი ტერორი მეფობს. მთელი ქა- ბმლულთ უპყრიათ ჟანდარმეთულ კომენდანტებს. შვილ[illegible] ახლოვების სურვი- [illegible]კრაინასთან ბესარა- [illegible]ნას მცხოვრებთა [illegible] ორჯერ იზრდება, ამა- [illegible] რუმინელ ხელი- შვერე. სამხედრო რე- რქზარებს განსაკუთრებით [illegible]ით დასახლებულ ოლ- საპყრობილები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. საპყრობილეებათ იყენებენ რკინისგზების პაკჰაუზებსაც (სამხედრო საწყობებს).

სოფლებში საყოველთაო ძარცვა-რბევა სწარმოებს. **რუმინეთის კავალერია ართმევს გლეხობას ყველაფერს. ცოცხალი ინვენტარით დაწყებულს უკანასკნელი ფეხსაცმელამდე. რუმინელი „ოხრანკა“ ჯგუფობით ხვრეტს უკრაინელებს.** კარპატელი უკრაინელები, რომელნიც შუაგულ ტყეებში ბინადრობენ, აწყობენ მეამბოხეთა რაზმებს და იარაღს ჰყრიან სამხედრო ნაწილებს. **ამბოხება თანდათან იზრდება.**

ბუკოვინიდან მოდის ცნობები სისხლის მღვრელ შეტაკებებზე. ებუკოვინაში საალყო წესები არის გამოცხადებული, რის გამო დაიწყო შიმშილობა. ბესარაბიის და ბუკოვინის გარნიზონები მეტად გადიდებული არიან. მოსახლეობა ხარბათ ეტანება საბჭოთა კავშირიდან მოსულ ყოველგვარ ცნობას.

მდგომარეობა რუმინეთში

გადატრიალების მოლოდინში.

ვენა. 30 ივლისი. რუმინეთის მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა ყველა კომუნისტური ორგანიზაციები. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა ოხრანკის ყველა უმაღლეს თანამდებობის პირთა თათბირი კომუნისტურ მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ ზომების განსახილველად. **მთავრობის ტერორი გამეფებულია მთელ ბესარაბიაში,** მხოლოდ ერთ **გორაშტოში** დაპატიმრებულია 32 კაცი მათ რიცხვში ბურგომისტრი და სოფლის მასწავლებელი. მთავრობა ბრალს სდებს **გლეხთა პარტიის მემარცხენე დეპუტატების მომხრეებს იმაში, რომ ისინი ამზადებენ ბესარაბიაში გლეხთა კომუნისტურ აჯანყებას.**

გა[illegible]რებული მდგომარეობის, მუშათა [illegible]ის დევნის და კრების აკრძალვის მი[illegible]ზა ჩახშობილ იქნას საყოველთაო [illegible]ტოფილება, რომელიც გამოწვ[illegible] მხ[illegible]დი მოსავალით, სურსათ-სა[illegible] გაძაკლულოვანებით, სიძვირით [illegible]-შემქის ტერორით. **მთავრობა** [illegible] ახსნას განსაკუთრებულ[illegible] უწესმარეობა იმით, **რომ ეს არის ერთად ერთი ზომა მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, განსაკუთრებით ბულგარეთსა და სამხრეთ სლავიაში, გლეხთა და კომუნისტების რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ ბესარაბიასა და დობრუჯაში გაიგზავნა ახალი ჯარები.** რუმინეთის დუნაის ფლოტის და საზღვაო ფლოტის გაგზავნა სტამბოლსა და სმირნაში. ალარ მოსდა, მთავრობის ორგანო „ვიტორელი“ აცხადებს, რომ მთავრობის მიერ მიღებულია ზომები, რუმინეთის დასაცავად ბოლშევიკურ გადატრიალებისაგან. გლეხთა პარტიის ორგანო „ავრორა“ აღნიშნავს, რომ რუმინეთის მთავრობა, რომელსაც მხარი არ დაუჭირეს პრაგის კონფერენციაზე ბესარაბიის საკითხში, სცდილობს დასახოს მცირე ანტანტა ბოლშევიკების საწინააღმდეგო კავშირად.

ავიწროებენ ოპოზიციონურ პრესას.

ვენა. 30 ივლისი. რუმინეთში გამოქვეყნდა დეკრეტი ბაჟების შესახებ რუმინეთის მთავრობამ გაადიდა ბაჟი ქაღალდზე 300 პროც. ამიტომ იმ (ოპოზიციონური) გაზეთების, გამოცემა რომლებსაც არ ეძლევათ მთავრობის სუბსიდიები, შეუძლებელი გახდა. **ოპოზიციონურმა პარტიებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და გამოაქვეყნეს რუმინეთის მცხოვრებლებისადმი მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებენ მათ მატერიალური დახმარება გაუწიონ ოპოზიციონურ პრესას.**

ბრძოლა მაკედონიის განთავისუფლებისათვის

მაკედონელთა კომიტეტის დეკლარაცია

ვენა. 30 ივლისი. სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის პრესა გადმოგვცემს ხმებს ბულგარეთში მოსალოდნელ გადატრიალების შესახებ. თუმცა ბალკანეთის პრესის ცნობა ჩვეულებრივ გაზვიადებულია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ უკანასკნელ ხანებში **ცანკოვის მთავრობის მდგომარეობა თვალსაჩინოთ შეირყა მაკედონიის განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლის გამო.** (ამ მოძრაობის მთავარ ცენტრად ითვლება ბულგარეთი) ეს გამოსვლები გამოიხატა მაკედონიის ლეგალურ ორგანიზაციების დაშლაში და მათ ბეჭდვითი ორგანოების აკრძალვაში. მაკედონიის ავტონომისტთა ორგანიზაციებმა, რომლებიც წინად ცანკოვს უჭერდენ მხარს, რადიკალურად შესცვალეს თავისი პოლიტიკა და დაუახლოვდენ ფედერალისტებს და ალბანეთის ნაციონალურ კომიტეტს. გამოშვებულ დეკლარაციაში მაკედონიის ავტონომისტები აღნიშნავენ, რომ **ბალკანეთის დღევანდელ მთავრობების პოლიტიკა მიმართულია მაკედონიის განთავისუფლების წინააღმდეგ და ამიტომ ორგანიზაცია ენერგიულად შეებრძოლება მტაცებლურ პოლიტიკას.** მაკედონიის ორგანიზაციები დაინტერესებული არიან უმთავრესად სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის და საბერძნეთის პოლიტიკით, რომელთაც ეკუთვნისთ მაკედონიის ტერიტორიის ნაწილი. რაც შეეხება ბულგარეთის მთავრობას, ის საკუთარ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ აწარმოებს სერბოფილურ პოლიტიკას, რომელიც ახალ შეტაკებას ამზადებს ბალკანეთში და ხელს უწყობს მაკედონიის დამონავებას.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ **მაკედონელები მხარს დაუჭერენ მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა ქალაქის და სოფლის მშრომელთა ფართო მასებს, არ მიმართავს ტერორს და მოიხვევს მასების ნდობას მეზობელ სახელმწიფოების დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით.** მაკედონიის ორგანიზაცია მოუწოდებს მაკედონიის ერთიან ფრონტის შექმნისაკენ იმპერიალისტების, შოვინისტების და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

თავის მხრივ ცანკოვი ცდილობს განამტკიცოს თავისი მდგომარეობა მთავრობაში ნაციონალურ ლიბერალების და გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის მიღებით. გლეხთა პარტიის მემარცხენე ლიდერები მზად არიან მხარი დაუჭირონ ცანკოვს და უკვე შეუდგენ თავის წრიდან მემარცხენე ელემენტების გამორიცხვას. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამოხატავს გლეხთა პარტიის მასების განწყობილებას. ამას ამტკიცებს პარტიიდან გამორიცხულ გონჩაროვის არჩევა (გონჩაროვი იყო გლეხთა პარტიის ქ. სოფიის განყოფილების თავმჯდომარედ) და პარტიზანულ მოძრაობის გაძლიერება.

ახალი მთავრობა სამხრეთ-სლავიაში

რადიჩის პარტია მხარს უჭერს დავიდოვიჩის კაბინეტს

ვენა. 30 ივლისი. ბელგრადში ჩავიდა, **ხორვატიის** გლეხთა რესპუბლიკანურ (რადიჩის) პარტიის ცეკას თავმჯდომარის ამხანაგი მაცეკი, რომელმაც განაცხადა, რომ **რადიჩის პარტია ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს დავიდოვიჩის მთავრობას და მზად არის, თუ ამას საჭიროება მოითხოვს,** გაგზავნოს კაბინეტში თავისი წარმომადგენლები. ამგვარად დავიდოვიჩის კაბინეტს სკუპშჩინაში (პარლამენტი) ჰყავს 167 ხმის უმრავლესობა—წინააღმდეგ 123-ისა. **ჯერ კიდევ დაუკავებელი სამინისტრო პოსტები მთავრობაში ახლო ხანში განაწილებული იქნება რადიჩის პარტიის** ლიდერებსა და სერბიის გლეხთა კავშირების წარმომადგენლებს შორის. დავიდოვიჩის კაბინეტი შეუდგა მუშაობას. კაბინეტის პირველ სხდომაზე გადაჭრილი იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხებისა: „სკუპშჩინის“ მოწვევა ახლო მომავალში, მოხელეების შესახებ კანონპროექტის შემუშავება და სხვა. იმ დროს, როდესაც იმედ დაკარგული ოპოზიციონური წრეებს ეჭვი შეაქვთ, რომ ახალი მთავრობა დიდხანს იარსებებს, ხორვატიაში აღფრთოვანებული არიან დავიდოვიჩის კაბინეტის შედგენის გამო, რომლისგანაც მოელიან მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სხვადასხვა ამბები

— **საყოველთაო გაფიცვა ზემო-სილეზიაში.** ძალაში შევიდა დადგენილება ზემო-სილეზიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. მუშაობა შეწყდა ყველა მაღაროებში და ქარხნებში.

— **ესპანელების დამარცხება მაროკოში.** გაზ. „ტაიმსის“ ცნობით კაბილები თავს დაესხენ ესპანელების სადარაჯოს და ტყვეთ წაიყვანეს ესპანელების რაზმი. იუწყებიან, რომ ესპანელებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ბრძოლის დროს, დიდი ზარალი მოუვიდა.

— **კულიჯი უკმაყოფილოა.** ამერიკელი გაზეთების ცნობით კულიჯმა წერილი გაუგზავნა ამერიკის საზოგადოებას „ძირს ომი“, რომელშიც უსაყვედურებს მათ ამერიკის შეიარაღების წინააღმდეგ გალაშქრების გამო.

— **ინგლისი სამხედრო გემს გზავნის ბრაზილიაში.** ინგლისის მთავრობამ ბრძანება მისცა სამხედრო გემის „კარლ“-ის უფროს გაემგზავროს ბრაზილიაში.

— **სან-პაბლო დაეცა.** რამდენიმე დღის სიმშილობისა და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ სან-პაბლოს (ბრაზილია) დამცველები დანებდენ მთავრობის ჯარებს.

— **გერმანიის გემები.** პარიზიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის ნავთსადგურები კვლავ იქნება გახსნილი გერმანიის გემებისათვის.

— **იუზი ბერლინში.** იუზს ბერლინში მოელიან შაბათს.

— **პურის გაძვირება ლონდონში.** ლონდონში პურის ფასებმა შესამჩნევად იმატა, ამის გამო ხუთშაბათს შედგა ლონდონის პურის მცხობელთა თათბირი პურზე ფასების მოსაწესრიგებლათ.

— **ზაგლულ-ფაშა ევროპაში.** მარსელში ჩავიდა ეგვიპტის პრემიერი ზაგლულ-ფაშა, რომელიც ლონდონში მიემგზავრება.

ზაგლულ-ფაშას მოკვლის განზრახვა. პარიზში დააპატიმრეს ეგვიპტელ სტუდენტი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა მოეკლა ზაგლულ ფაშა.

— **ბრატიანუ ლონდონში.** რუმინეთის ფინანსთა მინისტრი ბრატიანუ ლონდონში ჩავიდა სპეციალური დავალებით.

— **ფაშისტების თარეში.** გენუიდან მიღებული ცნობებით ფაშისტებმა სერიოზულათ დაჰკრეს ინგლისელი ადმირალი დოგსონი.

— **შიმშილობის გამოცხადება.** ვარშავის ცენტრალური საპატიმროს ტუსაღებმა შიმშილობა გამოაცხადეს. სიმშილობა მესამე დღეა გრძელდება.

ფეიქართა საერთაშორისო თათბირი

მოსკოვი. 3 ივლისი. დამთავრდა რევოლიუციონურ ფეიქართა საერთაშორისო თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას იღებდენ საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. მომხსენებებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნების საფეიქრო მრეწველობის უკანასკნელი წლების განმავლობაში ხდება წარმოების შემცირება. წარმოების დროებითი აღდგენა გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში და პოლონეთში გამოწვეულია მხოლოდ ხელოვნური ხასიათის ზომებით. საფეიქრო-მრეწველობის ასეთი მდგომარეობა უეჭველად გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და კაპიტალისტების აქტიურ შეტევას მუშათა კლასზე შრომის ხელფასის შემცირების მიზნით. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მწარმოებელთა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა. ასე, მაგალითად, აქას წინათ შეიქმნა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიის და შვეიცარიის მატყლის დამამზადებელთა კონცერნი. ყველაფერი ეს საფეიქრო მრეწველობის მუშების წინაშე აყენებს ამოცანას გააღრმაონ თავისი კლასიური შეგნება და განამტკიცონ რევოლიუციონური ორგანიზაციები. ფეიქართა საერთაშორისო თათბირმა დაადგინა: გაძლიერებული იქნეს რევოლიუციონური იდეების აგიტაცია ყველა ქვეყნების ფეიქართა შორის, ამასთანავე ყოვლის მხრივ გამომჟღავნებული უნდა იქნეს რეფორმისტების მოღალატური მუშაობა და მიღებული უნდა იქნეს ზომები ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ. თათბირმა გადაწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშა ქალების და მოზარდთა მძიმე მდგომარეობას და დაამყაროს მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნების ფეიქრებთან.

განათლების მუშაკთა კავშირის 5 წლის თავი

მოსკოვი, 30 ივლისი. განათლების მუშაკთა კავშირის 5 წლის იუბილეს აღსანიშნავათ გამართული იყო საზეიმო სხდომა. განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. კოროსტელევმა მოხსენება გააკეთა კავშირის მუშაობის შესახებ ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ამხ. ფრუნზე კავშირს მიესალმა რ.კ.პ. ც.კ. და წითელი არმიის სახელით; კრებამ ერთხმათ მიიღო მიმართვა რ.კ.პ. ცეკასადმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ განათლების მუშაკებმა ერთბაშათ ვერ გაიგეს საბჭოთა ძალაუფლების საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა. მათ ბევრი რამ ვერ შეიგნეს რევოლიუციის პირველ წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს სიძნელეთა და გაჭირვების წლებში. მაგრამ ეს დანაშაული კი არა, არამედ უბედურება იყო განათლების მუშაკებისათვის და ეხლა, როდესაც მათ უკვე ესმით მომხდარი ამბების მნიშვნელობა და სურთ თავისი ამოცანის სიმაღლეზე დადგენ,—მიმდინარე ისტორიულ მომენტში განათლების მუშაკებს შეუძლიათ სთქვან:

„წარსულში, რასაკვირველია, ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთიანი ოჯახის მხოლოდ მცირე ნაწილი, ახლა კი მათთან ერთად, კომპარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენ შევქმენით ახალ ცხოვრებას საბჭოთა ქვეყანაში“.

დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ

გეგმა

იმპერიალისტური ომის საშიშროების და 2 ინტერნაციონალის პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციის ჩატარებისა 1 აგვისტოს 1924 წ.

დემონსტრაციისათვის პასუხისმგებლობა და მისი ხელმძღვანელობა რაიონებში დაკისრებული აქვთ საქართველოს კომპარტიის რაიკომების პასუხისმგებელ მდივნებს.

სამხედრო ნაწილები გამოჰყოფენ რწმუნებულებს რაიონებში წითელი არმიის ნაწილებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

მუშაობა წარმოებებსა და დაწესებულებებში სწყდება შუადღის 12 საათზე.

მსვლელობის წესრიგი.

ლენინის რაიონი:

ყველა მუშები და მოსამსახურეები იკრიბებიან რაიკომის შენობასთან და 12 ნახ. საათისათვის იწყებენ მსვლელობას შემდეგი მარშრუტით: ჩერქეზიშვილის ქ., ვაგზლის ქ., კლარა ცეტკინის ქ., პიროგოვის ქ., პლეხანოვის პროსპ., კირკის ქ., ვერის დაღმართი, ლენინის ქ., და შემდეგ თავისუფლების მოედნამდე, საიდანაც პუშკინის ქუჩაზე იშლებიან.

არსენალის რაიონი.

შეკრების ადგილი რაიკომის შენობასთან,—პლეხანოვის პროსპექტით კარლ მარქსის მოედნისაკენ.

მარშრუტი: კირკის ქ., ვერის დაღმართი, ლენინის ქ. თავისუფლების მოედნამდე.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი.

შეკრების ადგილი რაიკომთან. მარშრუტი: შაუმიანის სახ. მოედანი, ციციანოვის აღმართი, რიყე, კარლ მარქსის მოედანი, ხიდი, ბარიატინსკის ქუჩა.

ქალაქის რაიონი.

შეკრების ადგილი ცეკასთან ლენინის ქუჩის მხარეზე.

მარშრუტი: თავისუფლების მოედნამდე, იშლებიან ველიამინოვის, ლერმონტოვის და ტროცკის ქუჩებით.

მსვლელობას ხსნის ქალაქის რაიონი, რომელიც მიდის თავისუფლების მოედანზე დღის 1 საათისათვის.

მას მიჰყვებიან ლენინის, არსენალის და ავლაბარ-ხარფუხის რაიონები.

თავისუფლების მოედანზე გავლა შეუძლიათ თავისი მანდატებით:

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა, კომკავშირის, საქართველოს კომპარტიის ცეკას, თბილისის კომიტეტის, საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის და ცეკას წევრებს, ამიერ-კავკასიის ცაკის, საქართველოს ცაკის, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის და ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წევრებს და აგრეთვე ცალკე ამხანაგებს კომენდანტის სპეციალურ ნებართვით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

საქართვ. პროფკავშირთა საბჭო.

ქალ. აღმასკომი.

მუშათა და გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭო.

მუშა-ქალთა დემონსტრაცია

შაბათს, 2 აგვისტოს, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება იწვევს რაიონულ კლუბებში მუშა-ქალებს, მუშების და გლეხების დების და დედების მიტინგებს.

დღის წესრიგი შემდეგია:

რაიონებში 4 საათისათვის იკრიბებიან რაიონის ყველა ქალები ქალთა ორგანიზატორების ხელმძღვანელობით და მიემართებიან კლუბებში მიტინგებზე.

1 რაიკომი: ნაძალადევის თეატრი, 4 საათზე „იმპერიალისტურ ომის 10 წლის თავის შესახებ“ მოხსენებას აკეთებენ ამხ. ამხ. **მიხა ცხაკაია და მარიამ ორახელაშვილი.**

2 რაიკომი: [illegible] კლუბი (პლეხანოვის პროსპ.) მოხსენებას აკეთებენ ამხ. ფ. მახარაძე და [illegible].

3 რაიკომი: მუშათა კლუბი ([illegible] მოედანი) მოხსენებას აკეთებენ ამხ. ნუშიკ **ზავარიანი** და ვანო **სტურუა.**

4 რაიკომი: პროფკავშირთა კლუბი ყოფ. „სტელლა“ (სოლოლაკის ქ.) მოხსენებას აკეთებენ ამხ. **ელისაბედაშვილი და ოვანესიანი.**

ყველა დასახელებულ მომხსენებლებს ვთხოვთ გამოცხადდენ აღნიშნულ კლუბებში საღამოს 5 საათზე.

თფილისის კომიტეტის საავიტაც. საპროპ. განყ. გამგე
გ. ელისაბედაშვილი

თფ. კომიტ. ქალთა განყოფილების გამგე **გარგალაჯევისა**

სტუდენტების საყურადღებოდ

ყველა უმაღლეს სასწავლებლების აღმასრულებელ ბიუროებს და თბილისში მყოფ სტუდენტებს

პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიურო წინადადებას გაძლევთ დღეს, 1-ლ აგვისტოს საათის სრულ 10-ზე მოიყაროთ თავი სახელმწიფო პოლიტექნიკ. ინსტიტუტის შენობაში—იმპერიალისტურ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად; ის სტუდენტები, რომლებიც მსახურობენ, ვალდებული არიან, აგრეთვე გამოცხადდენ ზემოაღნიშნულ ადგილას.

ბიუროს თავმჯდომარე: **ღ. გაგოშიძე**

შრომის კომისარიატისაგან

იმპერიალისტური ომის ათი წლის თავზე, შრომის სახალხო კომისარიატი მუშათა ორგანიზაციების მიერ აღძრულ შუამდგომლობის თანახმად, ადგენს: 1. განთავისუფლებულ იქნენ მუშა-მოსამსახურენი 1924 წლის აგვისტოს 1-ლს ნაშუადღევის 12 საათზე ომის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად, 2. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება წყალსადენზე, ელექტრო სადგურებზე, საავადმყოფოებზე, აფთიაქებზე, ტელეფონზე, ტელეგრაფზე და აგრეთვე იმ წარმოებებზე, რომელთა შეჩერება არ შეიძლება წარმოების ხასიათის გამო.

საქ. შრომის სახ. კომისარი **ა. მიქაძე.**

საორ. საერთ. განყ. გამგის მაგიერ **შ. ქართველიშვილი.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი

მოსკოვი. 30 ივლისი. მიმდინარე წლის პირველი ნახევარში ცენტროკავშირის მიერ შესყიდულია 4 ნახ. მილ. მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. თითქმის მთელი შესყიდული ინვენტარი განაწილებულია გლეხებს შორის; ამასთანავე კოოპერატიულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები.

სათესლე მასალის დამზადება.

მოსკოვი. 30 ივლისი. სათესლე მასალის ცენტრალურმა სამეულმა შ იმუშავა სათესლე მასალის დამზადების გეგმა მოუსავლიან რაიონებისათვის, რომლის ძალით ჭვავის სათესლე მასალის მთელი რაოდენობა მიტანილი იქნება ადგილებზე არა უგვიანეს 26 აგვისტოსა, შემოდგომის ხორბალი კი სექტემბრის შუა რიცხვებისათვის, ამ ჟამად უკვე დამზადებული და გაგზავნილია ადგილებზე 4 მილ. ფუთი სათესლე მასალა.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 30 ივლისი. არასრულ ცნობების მიხედვით, 28 ივლისს ბაზრობაზე შეღავათიანი ტარიფი მიღებული იქნა 209.000 ფუთი ტვირთი, ნორმალური ტარიფით —269.000 ფ., ამას გარდა სატყეო მასალა 1.115.000 ფუთი.

ფასების დაკლება.

მოსკოვი, 30 ივლისი. ძროხის ხორცზე ფასების ზრდის გამო, შინავაჭრობის კომისარიატმა დაადგინა დროებით სახელმწიფო ორგანოებისა და მოსკოვის კოოპერაციისათვის დააწესოს შემდეგი საწვრიმალო ფასები: კარაქი, რომელსაც ხმარობენ მოსახლეობის ფართო წრეები—60 კაპ. გირვანქა.

მეორე მომგებიანი სესხი.

მოსკოვი, 30 ივლისი. მეორე მომგებიანი სესხის რეალიზაციამ რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე გამოიღო 14 მილ. მეტი მანეთი. სესხის რეალიზაციის რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მოსკოვის გუბერნიას, შემდეგ ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქს, სამხრეთ-აღმოსავლეთს, ციმბირს და ურალის ოლქს.

სტიქიური უბედურება.

ხაბაროვსკი. 29 ივლ. ძლიერი წვიმების გამო, ადიდდენ მდინარე ამური, უსსური და ზეია. წყალით დაფარულია მრავალი სოფლები და ნათესები. წაღებულია რამოდენიმე რკინის გზის ხიდი.

მალარია კლებულობს.

კრასნოდარი. 29 ივლ. შარშანდელთან შედარებით კრასნოდარში შემჩნეულია მალიარიით დაავადებათა რიცხვის შემცირება, რაც აიხსნება მიმდინარე წელს მომხდარ ჭაობებში ნავთის ჩასხმით.

ბრძოლა წყალდიდობასთან.

კრასნოდარი. 30 ივლ. ადგეის თემში 45 ვერსის მანძილზე შესრულებულია მიწის სამუშაოები მდ. კუბანზე, ბელაიაზე და პშეხზე, რის გამოც წყალდიდობისაგან დაცულია 9.500 დესეტინა სახნავი მიწა.

პურის ფასები მოუსავლიან ადგილებში.

მოსკოვი. 30 ივლისი. მოუსავლიანობასთან მებრძოლ კომისიის ცნობებით უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში მოუსავლიან რაიონებში ჭვავის ფასი დაეცა 14 პროცენტით, ხორბლის—12 პროცენტით.

ახალი ნიმუშის ჩერვონცები

მოსკოვი. 31 ივლისი. ყალბი ჩერვონეცის გაკეთების შესაძლებლობის აღსაკვეთად და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფულებზე მუშათა და გლეხთა ხელისუფლების იდეის და რაობის უფრო სავსებით გამოსახატავად, სახელმწიფო ბანკის სამმართველომ მიიღო დადგენილება ბანკნოტების გარეგნული სახის შეცვლის შესახებ. ამ დადგენილების თანახმათ 15 აგვისტოს გამოვა ახალი სახის სამჩერვონციანი საბანკო ბილეთები—შემდეგში გამოშვებული იქნება ჩერვონცების უფრო წვრილი კუპიურები. 1922 წლის საბანკო ბილეთები ახლად გამოშვებულ ბილეთებთან ერთად დარჩებიან ხმარებაში საბჭოთა კავშირის ყველა ადგილებში და ხმარებიდან არ განიდევნებიან.

საბჭოთა აჭარაში

— **დასასვენებელ სახლებში.** პირველ აგვისტოს დამზღვევი კასა დასასვენებელ სახლებში გზავნის მესამე მორიგ პარტიას—საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის 100 წევრს.

— **მესაქონლეთა კავშირი.** ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს საჩქაროდ შეუდგეს მესაქონლეთა კავშირის მოწყობას.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** იმ მიზნით, რომ უფრო ჩქარა იქნეს მოსპობილი წერა-კითხვის უცოდინარობა ოლქში, მომავალ სამოსწავლო წლიდან პოლიტიკური განყოფილების მთავარი სამმართველობა ხსნის 162 სკოლას.

— **სატყეო მასალის გატანა.** ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დაუშვას [illegible]ტყეო მასალის თავისუფალი გატა- [illegible]ოსმალეთში. გატანა იწარმოებს [illegible]ო პუნქტებიდან მიწად-მოქმედე- [illegible] სახალხო კომისარიატის მეთვალ- [illegible]ბით.

— **საგარეო ვაჭრობა.** ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა უცვლელათ დასტოვოს ოსმალეთიდან ზეთის ხილის, ლიმონების და ფორთოხლების შემოტანის წესი და ნორმა. ასეთების შემოტანის უფლება აჭარაში ეძლევა აჭარის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს. უკანასკნელი ვალდებულია ასეთები შეისყიდოს უშუალოთ გლეხებისაგან.

— **მეთამბაქოება.** მეთამბაქოება აჭარაში შემოსავლის დამატებითი წყაროა გლეხებისათვის. იმის გამო, რომ ადგილობრივი თამბაქო ხარისხის მხრივ უფრო დაბლა სდგას, ვიდრე სოხუმის თამბაქო, აქციზი კი ერთნაირია ორივეზე, ამიტომ კონკურენცია შეუძლებელი იყო და თამბაქოს მოყვანა აჭარაში თანდათან ისპობოდა. მეთამბაქოების აღდგენის მიზნით, ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აქციზი ადგილობრივ თამბაქოზე შეამციროს 30 კაპ. გირვანქაზე.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ბაკურიანში

13 ივლისს შესდგა ბაკურიანის კომუჯრედის სხდომა, რომელსაც დაესწრო ბორჯომის პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. ნ. მურჯიკნელი და ამხ. გ. ლომსაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საჰაერო ფლოტის შესახებ, 2) მოხსენება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ. 3) მოხსენება საშეფო კომისიისა. 4) მოხსენება ბაკურიანის კოოპერატივის შესახებ. 5) კომუჯრედის პ/მ. მდივნის ანგარიში და 6) მიმდინარე საკითხები.

საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. მურჯიკნელმა და მოუწოდა ამხანაგებს დახმარება გაუწიონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას.

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მურჯიკნელმა.

საშეფო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზარემბომ. შეფს დაუარსებია სოფელ ბაკურიანში სამკითხველო და კლუბი, შეუკეთებია თეატრის შენობა, აგრეთვე გადმოუგზავნა 196 ცალი ქუდი სკოლის მოწაფეებისათვის, შეფისვე ინიციატივით დაარსებული იქმნა სოფ. ბაკურიანში ჭრა-კერვის სკოლა და ქალთა წრე.

გლეხკომის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მურჯიკნელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაკურიანის მთლიან მომხმარებელ საზოგადოების განყოფილება ვერ აკმაყოფილებს გლეხობას. უმჯობესია, რომ ბორჯომის სარაიონო გლეხკომმა გახსნას ს. ბაკურიანში სავაჭრო განყოფილება, სასადილო და ფურნე.

ამავე კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ბაკურიანის კომუჯრედის პ/მ. მდივნის ამხ. მაისურაძის კომუჯრედის მუშაობის შესახებ; აღმოჩნდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე იმავე დროს ასრულებდა კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობას.

საჰაერო ფლოტის შესახებ, კომუჯრედმა დაადგინა დაევალოს ყველა წევრებს და კანდიდატებს, რათა ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებათ, აგრეთვე დაევალოს კულტკომისიას დასდგას წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი გადადებული იქნეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ კრებამ საჭიროთ იცნო, რათა ბაკურიანის თემში ხშირათ იგზავნებოდენ აგრონომები მოხსენებების გასაკეთებლად; საჭიროა აგრეთვე გაიხსნას ბაკურიანის თემში ციხის-ჯვრის ფერმაში მესაქონლეობის და მერძეობის კურსები.

საშეფო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი.

კომუჯრედის მდივნათ კრების მიერ არჩეულ იქნა ამხ. ნ. კაზლოვსკი.

ნ. ლ—ი.

სამტრედია

ხუთშაბათს, 24 ივლისს პარტ-კლუბის დარბაზში შესდგა ქალაქის კომუჯრედის მორიგი კრება, დაესწრენ ცეტმოს წევრებიც. თავმჯდ. აირჩიეს ამხ. პორ. შენგელია მდივნად ს. ქ—ლი.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება იმპერიალისტური ომის ათი წლის თავის შესახებ.
2. ბიუროს გადახალისება.
3. განხილვა სხვადასხვა ცირკულიარებისა და განცხადებებისა.

პირველ საკითხზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. სპ. კიკაჩეიშვილი, რომელიც ეხება 1914 წლის საერთაშორისო ომის დაწყებას და მის გამომწვევ მიზეზებს. მომხსენებელმა აღნიშნა რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის სათავეში მაკდონალდი და ერრიო მოხვდენ, ომის საშიშროება მაინც აცილებული არ არის. ამიტომ ჩვენ, კომუნისტები მზად უნდა ვიყოთ, რომ გამოუცხადოთ ომს-ომი. და გადავარჩინოთ კაცობრიობა ახალ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტას.

შეკითხვებზე მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რის შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ბიუროს გადახალისების შესახებ ილაპარაკა ამხ. გაგნიძემ, რომელმაც მოითხოვა ბიუროში ისეთი ამხანაგების არჩევა, რომლებიც ენერგიულად იმუშავებენ და არ გაიმეორებენ ძველი ბიუროს შეცდომებს. არჩეულ იქმნენ ბიუროში: კ. ჯიბლაძე, ის ბოხუა და ბაგ. ხუჭუა. კანდიდატებათ ვალ. შენგელია და ალ. ზამთარაძე.

დასასრულ განხილულ იქნა სხვადასხვა განცხადებები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ეკონომიური ცხოვრება

შინა-ვაჭრობის კომისარიატში

თათბირი ხორბლეულობის დამზადების შესახებ.

29 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენობაში ამავე სახკომის ეკონომიურ სტატისტიკური განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა თათბირი ხორბლეულობის დამზადების საკითხის გამოსარკვევად.

თათბირს დაესწრენ: წარმოკავშირის, ცეკავშირის და სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სხვ. წარმომადგენლები.

გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შესაძლებელია დამზადდეს დაახლოვებით 400.000 ფუთი პური და 450.000 ფუთი ფქვილი, რისაც თათბირის აზრით დასჭირდება 4000.000 მან. კრედიტი.

დამზადება მიენდობა კოოპერატიულ ცენტრებს.

პურის დამზადება ა/კავკასიისათვის.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში აცნობა ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომ პურის დამზადების საქმე უკრაინასა და სამხრეთ-აღმოსავლეთში მინდობილი აქვს ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამის გამო, სხვა რაიონების სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეკრძალებათ შეუდგენ პურის დამზადებას ამ რაიონებში.

საკრედიტო ამხანაგობა დასავლეთ საქართველოში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის ერთ-ერთი წევრი მივლინებული იყო გამგეობის მიერ ა. წ. 10-დან 23 ივლისამდე დასავლეთ საქართველოში საკრედიტო ამხანაგობების დასაარსებლად.

როგორც გამგეობის წევრი აღნიშნავს თავის მოხსენებაში გამგეობისადმი, საკრედიტო ამხანაგობები დაარსებულია 23 ივლისამდე კორბოულში, ხორაგოულში, ჩხარში, სვირში, ხონში, ბაღდადში, ვანში და ამაღლებაში.

მოთხოვნილება საკრედიტო ამხანაგობების დაარსებისა სოფლად ამ ჟამად მეტის მეტად დიდია; სოფ-

ჩვენი აგარაკები

მუაში (ქვემო სვანეთი)

აგარაკ „მუაში"-ს მდებარეობა მთიანია. ის ძევს ქვემო სვანეთის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილში, ლაშხეთის თემში—მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირზე. ეს ნაპირი დაბურულია ნაძვითა და ფიჭვის ტყეებით, რისგანაც ამ აგარაკის ჰავა მეტად სამოა და სასარგებლოა ავადმყოფებისათვის. არა ნაკლებ ყურადღების ღირსია მჟავე წყალიც. ეს წყალი ქიმიურათ არ არის გამოკვლეული, მაგრამ პრაქტიკულ დაკვირვებიდან სჩანს, რომ მისი ღირსება გაცილებით უფრო მაღლა დგას ბორჯომისა და უწერის წყლებზე.

მჟავე-ტუტიან-ნახშირ ორ ჟანგიან სასმელი წყალი ამოჩუხჩუხებს ერთ ადგილზე კვადრატიული მეტრის სივრცეზე. არის მეტად ცივი, გაზიანი, შუშხუნა და სამო დასალევი. რამდენიც არ უნდა დალიოს ადამიანმა არ წყენს, არ იცის გაბერვა, არც მძიმე დატალევია კარგ ამინდში—დარიან დღეებში გაზი უფრო ემატება; უფრო მეტი ცივიც არის. ასე რომ ერთი პიქის მიღებაც გასაჭირია. ხშირია შემთხვევა, რომ მას [illegible] ამინდში ჰკრუჩელ მაგ. ბორჯომის წყლის ბოთლებს წამსვე ხეთქს.

ეს წყალი უხდება მეტადრე კუჭ-ნაწლავებით ავადმყოფთ. მრავალი ექიმები კუჭის ავადმყოფობით (კატარით) შეპყრობილებს ურჩევენ აქ წამოსვლას და აქიმობას. მართლაც ყოფილა შემთხვევები, რომ ვინც ორჯელ მოსულა ამ წყალზე საქიმოთ კუჭისა და ნაწლავების ტკივილების გამო, სავსებით განკურნებულა უკანასკნელიდან. ხოლო ერთხელ მოსულს დიდათ შემსუბუქებია ტკივილები და კარგი მოვლით შემდეგ აღარც დაჭირვებია ექიმობა. რკინის წყლები გამოდის მთიდან ადგილებზე უფრო მეტი რაოდენობით. რომელ რკინის წყლებთანვე მოწყობილია ვანები. სასმელი წყალი უხდება სისხლნაკრულთ და დასუსტებულთ, ხოლო ვანები კი ნერვიულ ავადმყოფობით შეპყრობილ პირებს (ნერვასტენიკებს). ეს წყლები ისეთივე ცივია, როგორც პირველი. ვანებისათვის მას ხელოვნურათ ათბობენ. მეტი ნაწილი კი ღებულობს ცივათვე.

მუაშის წყლების თვისებაა: რამდენ მეტს დალევ, იმდენათ მეტათ გშია, ჰამის მადას გიმატებს. ვანების მიღების შემდეგ კი ორგანიზმი უფრო მაგრდება და საჭმელსაც მეტს ითხოვს. სასმელ წყლებით ყველანი უფასოთ სარგებლობენ. ხოლო ვანები კი ფასიანია. ცივი ღირს 10 კაპ. თბილი—25 კაპ. სადგომი ბინები იშოვება. ოთახი, რომელშიდაც მოთავსდება 2—3 სული დღე და ღამეში ღირს 1 მანეთი. არის აგარაკისათვის განსაკუთრებული ექიმი. სურსათ-სანოვაგეც იშოვება. ახლო-მახლო სოფლებიდან შემოაქვთ პური, ქათამი, ყველი, რძე და სხვა.

კ. ცხაკაია.

ლის მუშა დიდი სიხარულით ხვდება საკრედიტო ამხანაგობების დაარსებას; იგი თხოულობს დაწვრილებითი განმარტებას საკრედიტო ამხანაგობათა ნორმალურ წესდების სხვადასხვა მუხლებისა და იმ ფინანსიურ დახმარებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, რომელსაც გაუწევს საკრედიტო ამხანაგობებს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. ამას შემდეგ იგი ეწერება წევრების—დამფუძნებლების სიაში და მზად არის გაიღოს ხვედრი საპაიო და საწევრო თანხა მათი რაოდენობის, შეტანის ვადების და პასუხისმგებლობის გარშემო წინასწარი და მოფიქრებული ბჭობის შემდეგ.

გამგეობის წევრი აცნობს ამხანაგთა კრებას სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ამხანაგობას მიეცემა სესხი ხუთი წლის ვადით ს. ს. ბანკიდან და გადახდება 6 პროც. წლიური (პირველ წელს უსარგებლოდ) ამხანაგობამ კი უნდა აიღოს წევრებიდან გაცემულ სესხებზე სარგებლის სახით არა უმეტეს 12 პროც. წლიურისა; ამხანაგობათა გამგეობებს ევალებათ სულ მოკლე ხანში წარმოადგინონ საზოგადოთ და დამფუძნებელ კრების ოქმების ასლები, აგრეთვე შეკრიბონ 25 პროც. საპაიო თანხისა დადებულ ვადაში და შეიტანონ ბანკის განყოფილებებში. ამას შემდეგ მათ გაეხსნებათ კრედიტი და მიეცემათ სესხი სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან.

აღსანიშნავია გამგეობის წევრის მოხსენებიდან სხვათა შორის ერთი საინტერესო ფაქტი: წევრებათ ჩაწერის მსურველები იმდენია, რომ ვინაიდან გამგეობის წევრი ისწრაფვის სხვა რაიონებში საკრ. ამხანაგობების დასაარსებლად, ამიტომ იგი იძულებულია შესწყვიტოს წევრთა ჩაწერა და დაუყონებლივ გახსნას დამფუძნებელთა კრება, რომელიც ირჩევს ამხანაგობათა გამგებლობის ორგანოებს.

დამფუძნებელ წევრთა რიცხვი ზემოაღნიშნულ უკვე დაარსებულ რვა ამხანაგობაში თითოეულში უდრის საშუალოთ 150-ს (ეწერება 40-დან 300-მდე).

საპაიო თანხის რაოდენობა უმეტეს შემთხვევებში განისაზღვრება 5 მანეთით, საწევროსი—50 კაპიკით; არის შემთხვევა (ბაღდადში), როდესაც საპაიო თანხათ მიღებულია 15 მანეთი.

ვადა ამ თანხების შეტანისა განისაზღვრება 3—4 თვით. პასუხისმგებლობა თითოეული წევრისა უნდა იქნეს 10-ჯერ მეტი, ვიდრე კრედიტი ექნება მას გახსნილი.

არც ერთ ამხანაგობაში ჯერ-ჯერობით გამგეობისათვის გასამრჯელო არ დაუნიშნავთ.

დადგენილებები აღნიშნულ საკითხების შესახებ ამხანაგთა კრებას გამოაქვს ერთხმათ და ერთსულოვნათ.

სასოფლო მეურნეობა

წარმოკავშირის აგრიკულტურული მუშაობა მეხილეობაში

მთავარი რაიონი წარმოკავშირის მეხილეთა ამხანაგობებისა არის გორის მაზრა.

გორის მაზრის ძირითადი მეურნეობაა მარცვლეულობის კულტურა (პური, ქერი და სიმინდი), რაც სხვათა შორის გამოირკვა გორის მაზრის აგრონომების თათბირზე. თათბირზე აღმოჩნდა, რომ გორის მაზრაში ბაღებს უჭირავს მთელი მეურნეობის მხოლოდ 10 პროცენტამდე.

საერთოდ ცნობილია, რომ ნიადაგის ერთდაიგივე სივრცეზე ძვირფასი კულტურა ორ სამჯერ მეტი გამომღებიანია, ვიდრე მემინდვრეობა (ხორბლეულობა).

თუ კი მიუხედავათ ასეთი ხელ შესახები ეკონომიური მოვლენისა გორის მაზრაში მეხილეობის დონე მაინც ჩამორჩენილათ უნდა ჩაითვალოს, ამის მიზეზი ორი რამ არის: 1) გლეხობას არა აქვს სათანადო ცოდნა ხილის მეურნეობაში, რომ მან ის გახადოს თავის წლიურ ბიუჯეტის მთავარ წყაროთ; 2) გლეხობას არ აქვს მტკიცე გარანტია იმისი, რომ ის ხორბლეულობით უზრუნველყოფილი იქნება, რომ მან მარტო მეხილეობა განავითაროს თავის მეურნეობაში.

ჩვენი მოვალეობაა ანგარიში გაუწიოთ ამ ფაქტს და ყოველივე ვიღონოთ, ხელი შეუწყოთ ჩვენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებას და მისთვის აგრონომიულათ და ეკონომიურათ რაციონალური პირობები შევქმნათ.

როგორც ვთქვი გორის მეხილეობა ჩამორჩენილ დონეზე დგას.

იმ დროს, როდესაც ყირიმის ვაშლი მოსკოვის ბაზარზე შარშან ფასობდა ფუთი ორმოც მანეთამდე, გორის ვაშლი, პირველი ხარისხის, ფასობდა 12—15 მანეთად—ფუთი.

მართალია ისიც, რომ ეს ორი რაიონი დიდათ განსხვავდებიან ერთი მეორესაგან ბუნებრივი პირობებით მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფასების ასეთი დიდი განსხვავება ნაწილობრივ აიხსნება მით, რომ ჩვენში გლეხ-მწარმოებელთ არა აქვთ სათანადო ცოდნა ხილის ბაღის მოვლისათვის.

გლეხს საჭიროთ არ მიაჩნია ხეხილს წამლოს ავადმყოფობისაგან, ებრძოლოს მავნებლების, გასხლას და გახეხოს ხეხილის ტანი მოძველებული ქერქისაგან, სადაც მავნებლები ბუდობს. ის დარწმუნებულია, რომ ხეხილი ყველა უამისოთაც გასძლებს და მოისხავს ნაყოფს.

ასეთი შეხედულობა მწარმოებელი გლეხებისა ქმნის პასივობას მასში და ამის შედეგია—მეხილეობის ჩამოქვეითება.

რომ ხილის ბაღის პატრონისთვის აშკარა გახდეს აუცილებლობა აგრიკულტურული ღონისძიებათა გატარებისა, საჭიროა გლეხთან მისვლა და ახსნა-განმარტება, საცდელი სანიმუშო მუშაობის ჩატარება მის თვალწინ.

საუბედუროთ, უნდა ითქვას, რომ შარშან წარმოკავშირს არ უწარმოებია აგრიკულტურული მუშაობა მეხილეობაში. ეს მან დაიწყო მხოლოდ ამა წლის იანვრიდან.

მუშაობა გაიმართა ადგილობრივ—გლეხებში, რომელნიც წევრათ შედიოდენ წარმოკავშირში. საქმიანი გეგმა შეიცავდა ორ ნაწილს: 1) ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევა და 2) პრაქტიკული ღონისძიებათა გატარება.

პირველი საკითხის მოსაგვარებლათ აღნუსხულ იქნა წევრთა ბაღები: მათი სივრცე, ჯიშების რაოდენობა, ბაღის წლოვანება, სხმოიარობა, მოვლის პირობები: სხვლა წამლობა, მორწყვა, სასუქის ხმარება, მავნებლებთან ბრძოლა, აპარატები, ხელსაწყო, წამლები, ინვენტარი და სხვა.

შეუდექით მუშაობას თუმცა დიდი სიძნელით, მაგრამ მუშაობა თანდათან ძლიერდებოდა. შედგა წრე რამოდენიმე კაცისაგან, ჩატარდა საჩვენებელი გასხვლა ხეხილის, მისი შეწამვლა. ტფილისში შეძენილ იქნა სხვადასხვა ხელსაწყო და დაურიგდა გლეხებს. სასხურებელი აპარატი ვერმორელის სულ არ მოიპოვებოდა. ორი თვის წინეთ დაურიგეთ ამხანაგობებს 15 ცალი, მასზე წინ კი—5 ცალი. ეს ოცი ცალი შესაწამლი აპარატი საკმარისი როდია, მაგრამ ჯერ მეტი ვერ შევძელით.

მივიღეთ „პომონის" აპარატები, მაგრამ მის მოხმარას ერთგვარი დაბრკოლება უშლის ხელს. ეს აპარატი დიდია ერთი მუშა-ხელისთვის. ორსა და სამს კი გლეხებს არ მოაცლის თავის ბაღისათვის. ეს აპარატია კარგი დიდი მამულისათვის სადაც მუშა ხელი საკმაოა. უკვე არსდება ამხანაგობებში ჯგუფები რამოდენიმე გლეხისაგან, რომელნიც კარგათ შეისწავლიან ხეხილის ბაღის მოვლას და ისინი ჩაატარებენ ამ წამლვას მით უმეტეს, რომ დღეს საჭირო აპარატები ნაკლებათ მოიპოვება და გლეხები მორიგეობით ელოდებიან მის მიღებას.

მიმდინარე სეზონში გლეხი სწავლობს ხილის მოკრეფის და განხარისხების, ჩალაგების, შენახვის და ტრანსპორტის რაციონალურ ტეხნიკას.

სამისოთ იქნება ჩატარებული მოკლევადიანი კურსები წრეებში. ეს წრეები გახდებიან დიდრიცხოვანი და მეხილეობის ცოდნა თანდათან გავრცელდება ხალხში.

შარშან, მაგალითად, დახარისხების მცოდნე არავინ აღმოჩნდა გორის მეხილეებში. ამას დაემატა ისიც, რომ ხეხილი ნაწამლი არ იყო და დიდი უმრავლესობა ხილისა დაიბრაკა. ამას წელს ადგილი არ ექნება.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე განზრახულია მოეწყოს ცენტრალური. სანერგე ხეხილის ბაღისა დაახლოებით 50—60 დესეტინა სივრცეზე. წინასწარი მუშაობა უკვე დაასრულა სპეციალურმა კომისიამ; მან დაათვალიერა სხვადასხვა ადგილები და მიზანშეწონილათ დაინახა გორის მაზრაში დაარსებულიყო ეს სანერგე, სახელდობრ სოფელ ციხისძირში. აღძრულია სათანადო შუამდგომლობა არჩეული ადგილის გადმოცემის შესახებ წარმოკავშირზე.

დღეს გორის მაზრის მეხილეობაში ბევრი ჯიშებია გავრცელებული, რომელსაც დიდი ბაზარი არ მოითხოვს. უკვე დღის წესრიგში დგას საკითხი მეხილეობის სამრეწველო მეურნეობაზე გადატანის შესახებ. უამისოთ, ნაკლებ მოთხოვნილების პირობებში, მეხილეობა ვერ განვითარდება.

ჩამოთვლილი მუშაობა მცირე ნაწილია იმ დიადი საქმის, რომელიც უნდა თანდათანობით განხორციელდეს გორის მაზრის მეხილეობაში.

თუ ტიროლის და ამერიკის მეხილეები თითქმის მთელ ბაზარს იპყრობენ დღეს, ამის მიზეზი მათი კულტურული დონეა. ისინი თავიანთ ბაღებს ისე უვლიან, როგორც გატაცებული სპორტსმენი თავის ტანს.

ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამაც უნდა დაისახოს მიზნად ჩვენი მეხილეობის გაუმჯობესება.

აგრონომი ევ. გოგოლაძე.

გლეხკომების მუშაობის გაძლიერებისათვის

ყველა სამაზრო გლეხკომებს

ამხანაგებო!

გიგზავნით რა ამასთან ერთად ცნობათ და სახელმძღვანელოთ რეზოლიუციის იმ ნაწილს, რომელიც მიიღო საკავშირო რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობამ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ, საჭიროდ ვსთვლით დაუმატოთ ამას შემდეგი: არასოდეს სოფლად მუშაობის საკითხი პრაქტიკულად ჩვენში ისე მწვავეთ დასმული არ ყოფილა, როგორც ეს არის დღეს. წინათ საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ ყოველთვის თეორიულად ისმებოდა და ის მარტო კაბინეტებში მსჯელობის ფარგლებს ვერ სცილდებოდა. დღეს კი სოფლად მუშაობაზე საკითხს პრაქტიკული ხორცშესხმის და განხორციელების ხასიათი აქვს მიღებული. ამ უკანასკნელ ხანებში არც ერთი მნიშვნელოვანი ჩვენი კრება არ ჩატარებულა ისე, რომ იქ არ დასმულიყვეს და გარჩეულიყვეს სოფლად მუშაობის საკითხი. ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია ყოველმხრივ კულტურულად, ქონებრივათ და სხვა.

ჩვენს მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს ის, რომ ჩვენი სოფლის გლეხკაცობა (ღარიბი და საშუალო) დავრაზმოთ, ორგანიზაციულად შევაკავშიროთ, რათა მათ გაერთიანებული ძალით ოღლათ შესძლონ თავისი მძიმე ცხოვრების გაუმჯობესება; ჩვენ მათ უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა ბრძოლა ცხოვრების გასაუმჯობესებლად; გლეხთა ურთიერთი დამხმარე კომიტეტს ბევრი თვალსაჩინო რამის გაკეთება შეუძლიან ჩვენში; საქართველოში მათ საამისოთ კიდეც გამოიჩინეს საკმაო ენერგია და მუშაობის უნარი.

ამ ცირკულიარულ მომართვის მიღებისთანავე, ყველა ზემოთქმულის მიხედვით, გთხოვთ ადგილებზე სამაზრო გლეხკომების საქმიანობა განამტკიცოთ, გამოაცოცხლოთ, რათა მათ შესძლონ ღირსეული ხელმძღვანელობის გაწევა მაზრის ფარგლებში მომუშავე ყველა ძირითადი გლეხკომებზე. მუშაობის გაცხოველების მიზნათ მოგიწოდებთ სამაზრო გლეხკომებთან მოაწყოთ და დაარსოთ დამხმარე კომისია, რომელშიაც უნდა იქნენ შეყვანილი აღმასკომის, პარტკომის, ქალთა განყოფილების, კომკავშირის, პროფკავშირის, განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებების, მიწა-ტყის კავშირის, კოოპერაციის, ჯარის ნაწილის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყველა ამ ორგანიზაციებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული თქვენ უნდა გააძლიეროთ, გააჩაღოთ სოფლის გლეხკომებში მუშაობა-მოქმედება.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სოფლებში არსებობენ გლეხკომები, მაგრამ ისინი სინამდვილეში მარტო ქაღალდზე არიან და თავის მოქმედებას დღეს-დღეობით ვერაფრით იჩენენ. აუცილებლად საჭიროა ძირითადმა გლეხკომებმა ცხოველი ინიციატივა გამოიჩინონ სოფლის მეურნეობის აღდგენაში, კულტურულ მუშაობაში, გლეხკომების ფონდების განმტკიცება-შექმნაში და სხვა.

საჭიროა მოქმედება, მოქმედება და კიდევ მოქმედება; მოქმედება რა თქმა უნდა საზრიანი წინასწარ გამომუშავებული გეგმით. გლეხკომების განმტკიცება და მოღონიერება ჩვენ მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია. გლეხობა საჭიროებს ხელმძღვანელობას, დანარჩენს ის თითონ გააკეთებს. დაიხმარეთ სოფლის ინტელიგენცია. თქვენი მთელი მუშაობა გადაიტანეთ ადგილებზე. გაამაგრეთ ძირითადი ორგანიზაციები.

სრულიად საქართველოს გლეხკომების ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ხომერიკი**

საქმეთა მმართველი **ი. ბახტაძე.**

სასკოლო-სამოსწავლო საქმის მდგომარეობა *)

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

სკოლების მოწყობილობა.

ჩვენი ახალი შრომის სკოლები სრულიად განირჩევა ძველი ტიპის სკოლებიდან როგორც თავისი მიზნებით, ისე მეთოდითაც, რომელიც დამყარებულია მთლიანად შრომის პროცესზე. უკანასკნელი კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ექნება სათანადო მოწყობილობა—ე. ი. სპეციალური დანიშნულების ოთახები და კაბინეტები: ფიზიკური, ბუნების, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა. ბიბლიოთეკები, სახელოსნოები, აგრეთვე საცდელი ბაღები და ბოსტნები. ჩვენი სკოლები უმეტეს შემთხვევაში მოკლებული არიან ამ საშუალებებს, რის გამოც მათ უხდებათ ცუდ პირობებში მუშაობა.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის სკოლას სრულიად არაფერი გააჩნია: მას არც სასკოლო სახელმძღვანელოები მოეპოება, არც კაბინეტები, არც სახელოსნოები, არც საცდელი ბოსტნები და ბაღები. განსაკუთრებით ასეთ პირობებშია ჩავარდნილი ის სკოლები, რომელიც გახსნილია რევოლიუციის დროს. ვინაიდან მეფის დროსთან შედარებით ჩვენ დღეს რიცხვით გაცილებით მეტი სასწავლებელი მოგვეპოება, ცხადია, სკოლების უმრავლესი ნაწილი მოკლებულია ნორმალურ მეცადინობისთვის საჭირო, აუცილებელ საშვალებებს. გარდა ამისა ძველ სკოლებში სხვადასხვა გარემოების გამო მრავალი ნივთები და სახელმძღვანელოები უკვე დაძველებული ან განადგურებულია. ამგვარათ, ჩვენი სკოლების დაახლოვებით 50—60 პროცენტი არანორმალურ პირობებშია ჩაყენებული.

მრავალ სკოლას არ აქვს აგრეთვე საკმაო სასკოლო ინვენტარი—ძველი სისტემის პარტები.

სასკოლო შენობების მდგომარეობა.

თითქმის ყველა იმ სკოლების შენობები, რომლის დათვალიერებაც კომისიას მოუხდა, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. სასკოლო შენობები, რომელიც ომამდე არ იყო აგებული სასკოლო მიზნებისათვის, წარმოადგენს შემდეგ სურათს: პატარა და ბნელი ოთახები, ჩავარდნილი იატაკი, გამოტეხილი ფანჯრები, ჩანგრეული კედლები და მოუწყობელი საპირფარეშო. ხშირად ამ მდგომარეობაში მყოფ სკოლებს არ აქვს სრულიად ეზო და ბავშვებს 5—6 საათის განმავლობაში ანტისანიტარულ პირობებში უხდებათ ყოფნა.

სასწავლო სახელმძღვანელოები.

პირველი საფეხურის სკოლები დაახლოვებით დაკმაყოფილებულია სახელმძღვანელო წიგნებით, თუმცა უმრავლესობა არ შეეფერება ახალი სკოლის მიზნებს არც მასალებით, არც შინაარსით და არც მეთოდის მხრივ. განსაკუთრებით ჰუმანიტალურ საგნებში ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ სპეც. ტეხნიკუმებსა და მე-2 საფეხურის შრომის სკოლებში: არც ერთ სპეციალურ საგანში არ არის სახელმძღვანელო.

არ აქვს სახელმძღვანელოები მცირე ეროვნების სკოლებსაც (რუსულის სკოლებს გარდა).

ამჟამად სპეც. სასწავლებლებში არსებული წესი—მასწავლებლების მიერ კონსპექტების შედგენა და მოწაფეთათვის კარნახი და გადასაწერად გადაცემა დიდ დროს ართმევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს და საერთოდ განვლილ მასალის რაოდენობას ჰკვეცავს.

ბიბლიოთეკები.

დღევანდელ პირობებში არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს არა აქვს ნივთიერი საშვალება შეიძინოს წიგნები თვითგანვითარებისათვის. ხოლო მასწავლებლისათვის აუცილებლად საჭიროა განაახლოს თავისი ცოდნა და გააფართოვოს თავისი მსოფლმხედველობა, მოზარდი თაობაც უნდა აღიზარდოს ახალ წიგნებზე. კომისიის გამოკვლევით, ჩვენი სკოლები ამ მხრივ განიცდიან უდიდეს კრიზისს—ბიბლიოთეკები ან სრულიად არ არსებობენ, ან მეტად ღარიბი არიან სამეცნიერო, პედაგოგიური და მხატვრული ლიტერატურით.

მცირე ეროვნებათა სკოლების მდგომარეობა.

ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ქართულ სკოლებს ახასიათებს, მოეპოვებათ მცირე ეროვნებათა სკოლებსაც. კომისიამ გამოიკვლია მცირე ეროვნებათა სკოლების მთელი რიგი სულ 20-მდე—მათ შორის რუსული 8, სომხური 7, ებრაული—3, ოსური—1, პოლონური—1, გერმანული—2, ასურული—1 ბერძნული—1, თათრული—1. სხვა ეროვნულ უმცირესობის სკოლებთან შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია—რუსული სკოლები, შემდეგ სომხური და ებრაული. ქართული ენის სწავლება მცირე ეროვნებათა სკოლებში არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული იმ გარემოებათა გამო რომ ერთი მხრივ მცირე ეროვნებათა სკოლებს არ ჰყავთ გამოცდილი მასწავლებლები და მეორე მხრით ასეთ სკოლებისათვის არ არსებობს სათანადო სახელმძღვანელო ქართულ ენაში.

სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მდგომარეობა.

გამოკვლეულ იქნა აგრეთვე ყველა ეროვნების სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მთელი რიგი: საბავშვო ბაღები, სახლები და სხვა. შრომის სკოლებთან შედარებით, ეს დაწესებულებები ნივთიერად და მოწყობილობით უფრო დამაკმაყოფილებელ პირობებშია ჩაყენებული.

თუ შევადარებთ ერთმანეთს სხვადასხვა ტიპის სკოლების მდგომარეობას, შეიძლება ითქვას, რომ დამაკმაყოფილებლად არიან მოწყობილი და დაყენებული ტეხნიკუმები, მუშფაკები და სასკ. ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, ხოლო შრომის სკოლები, საცდელ-საჩვენებელ სკოლებს გარდა, პროფსკოლები და საქარხნო სასწავლებლები ცუდ პირობებში იმყოფებიან.

---

*) დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნ." № 171.

მეტი ყურადღება წიგნთ-საცავებს

(პრაქტიკული წინადადება)

„მეტი ყურადღება წიგნთ-საცავებს"—ასეთი სათაურით არის მოთავსებული წერილი მოსკოვის „პრავდა"-ს 1 ივლისის №-ში.

თვალი გადავავლოთ იმ პირობებს, რომელშიაც იმყოფებიან თბილისის წიგნთ-საცავები და სამკითხველოები.

1. სახელმწიფო უნივერსიტეტის უმდიდრესი ბიბლიოთეკა (309,000 წიგნი) იმყოფება საკმაოდ ნოტიო სარდაფში და მას არა აქვს ცალკე სამკითხველო, რადგანაც წიგნების გაცემა სწარმოებს ამავე ოთახში, სადაც დგას რამდენიმე მაგიდა და უხერხული სკამი მკითხველებისათვის.

2. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის წიგნთ-საცავს წიგნის საწყობი ბნელი აქვს. იმის სამკითხველოში მოთავსდება არა უმეტეს 6 კაცისა და ისიც ერთი წლის განმავლობაში სხვა დაწესებულებისაგან იყო დაჭერილი.

3. საქართველოს მუზეუმის წიგნთსაცავს (120,000 წიგნი) 1911 წლიდან სულ არ ჰქონდა შენობა და 13 წლის განმავლობაში ჩალაგებული იყო ყუთებში, მისთვის საგანგებოდ აშენებულ (საკუჭნაოში).

4. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა მთელ თბილისში არის ადგილი, სადაც შესვლა ყველაზე უფრო ძნელია, რადგანაც იმყოფება სასახლესთან მიშენებულ ოთახში და შესასვლელად საჭიროა ორი ფოტოგრაფიული სურათი და სხვადასხვა ნებართვა.

რა თქმა უნდა, სასახლე უნდა იყოს კარგად დაცული, მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობას ასეთი წესი დიდათ ხელს უშლის, და სწორედ ამ მიზეზის გამო, მისი პატარა სამკითხველოც (20 პირისათვის) არას დროს არ არის სავსე მკითხველებით.

5. საქართველოს წიგნთა პალატას არც შენობა და არც საკუთარი ოთახი აქვს, მიკუნჭული არის განათლების კომისარიატში სადღაც გასავლელ კორიდორში.

6. რევოლიუციის მუზეუმის წიგნთსაცავი, მუზეუმთან ერთად, მივარდნილი არის ერთ ოთახში და არ შეუძლიან იქ მუშაობა სამ კაცზე მეტს ერთ დროს.

როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო წიგნთ-საცავებს უკეთეს შემთხვევაში აქვთ სარდაფები და ხშირად ესეც არა აქვთ.

წიგნთ-საცავებს და სამკითხველოებს, რომელნიც წარმოადგენენ კულტურის ცენტრს, აქვთ მეტი უფლება ჰქონდეთ სათანადო ოთახები. ამავე დროს, მაგ., ბანკები გაშლილად არიან მოთავსებული მშვენიერ სასახლეებში.

რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა არის მოთავსებული მშვენიერ სასახლეში სოლოლაკის ქუჩაზე, № 5. ამიერ-კავკასიის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკს უჭირავს მშვენიერი შენობა კეცხოველის ქუჩაზე, (№ 5), (ყოფილი ლორის მელიქოვის), რომელიც განათლების კომისარიატის მიერ იყო დანიშნული საჯარო ბიბლიოთეკისათვის.

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი იმყოფება ამავე ქუჩაზე დიდებულ შენობაში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს აქვს კარგი შენობა ამავე ქუჩაზე № 7.

სრულიად-რუსეთის კოოპერატიულ ბანკს ეკუთვნის მთელი სართული ლადო დუმბაძის ქუჩაზე, მე-2 №-ში.

თბილისის კომუნალური ბანკი იმყოფება დიდ შენობაში თავისუფლების მოედანზე, (პუშკინის ქ., № 3).

საურთიერთო ნდობის ბანკს აქვს შესაფერისი ბინა კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქუჩაზე, № 6.

ჩვენ შემოგვაქვს პრაქტიკული წინადადება რამდენიმედ შემჭიდროვებულ იქნან ბანკები და განთავისუფლებული ოთახები თუ შენობები დაეთმოთ ბიბლიოთეკებს. ეს შესაძლებელია ბანკების მუშაობის სრულიად შეუფერხებლად.

ნუ დაგვავიწყდება პარტიის მე-12 ყრილობის რეზოლიუცია: „საჭიროა ზომების მიღება საბიბლიოთეკო ქსელის მოსაგვარებლად, რომელიც იმყოფება კატასტროფიულ მდგომარეობაში.

ა. დ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

— **მეთამბაქოების გამოკვლევა.** საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ეკონომიური ინსპექციის მიერ დასრულებულია მეთამბაქოობის კულტურისა და მრეწველობის გამოკვლევა (შესწავლილი იქნა ლაგოდეხის რაიონი და აფხაზეთი).

— **სასურსათო და მიწად. მოქ. კომისარიატების ფინ. დამოკიდებულების გამოკვლევა.** ეკონომ-ინსპექცია ამ დღეებში ამთავრებს ყოფილ სასურსათო სახკომის და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების ურთიერთშორის ფინანსიური დამოკიდებულების გამოკვლევას მოსკოვში 1921 და 1922 წ. წ. მარშრუტების გაგზავნის გამო.

— **ფასების გამოკვლევა.** სწარმოებს და ახლო მომავალში დასრულდება გამოკვლევა ფასებისა, სასოფლო და ქალაქის ნაწარმოებზე მათი ურთიერთშორის შეფარდების მიზნით (მაკრატლის პრობლემა).

— **შავი ქვის ექსპორტის საკითხი.** საკითხი შავი ქვის ექსპორტის შესახებ საზღვარგარეთ, გამოკვლეულია. ამ დღეებში კოლეგია მოისმენს ამ საკითხს. სხდომაზე მოწვეულნი არიან სპეცები.

— **ხელფასის გამოკვლევა.** ეკონომიური ინსპექცია შეუდგა სამუშაო ხელფასის გამოკვლევას სამრეწველო დაწესებულებებში. მუშაობა დასრულდება აგვისტოს დამლევისათვის.

— **აგრონომიული დახმარების საქმის შესწავლა.** დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა მცხოვრებლებისათვის აგრონომიულ დახმარების გამოსაკვლევად.

— **მუშაობის გეგმა.** კოლეგიამ მოისმინა და დაამტკიცა ინსპექციის მომავალ კვარტალის საკალენდრო გეგმა. გეგმა შედგენილია სამი თვის ვადით. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გეგმის გარეშე მუშაობას. საკალენდარო გეგმა გადაეგზავნა ა.-კ. ინსპექციას შესათანხმებლად.

— **თვალყურის დევნა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.** საქ. მ. | გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაავალა ყველა ინსპექციებს, მოახდინონ გასინჯვა, თუ რამდენად არის გატარებული ცხოვრებაში ინსპექციის დადგენილებები. ინსპექციები აღნიშნულ ამოცანის შესრულებას უკვე შეუდგნენ.

— **ბრძოლა ბავშვთა უპატრონობასთან.** კოლეგიამ ამ დღეებში მოისმინა მოხსენება ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის შესახებ. ზომებში ნაგულისხმევია ბავშვთა სახლების გახსნა ქალაქის გარეთ, ულუფის გადიდება და სხვ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის აღსაკვეთად.** ინსპექციამ დაასრულა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხის გამოკვლევა. ამ ჟამად მუშავდება ღონისძიებანი წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოო ლიკვიდაციისათვის ოქტომბრის რევოლ. 10 წ. იუბილეისათვის.

— **გამომცემლობის საქმის გამოკვლევა.** გამომცემლობის საკითხის გამოკვლევა საქართველოში დამთავრებულია. ღონისძიებანი ამ საკითხის შესახებ კოლეგიის მიერ მიღებულია და ამ მოკლე ხანში გატარდება ცხოვრებაში. ღონისძიებებში სხვათა შორის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სახელმძღვანელოების თავის დროზე გამოცემას და მის გაიაფებას.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში.

დუშეთის სამპროფბიუროში.

დუშეთის სამაზრო პროფბიუროსა და აღმასკომის ურთიერთ შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ, პროფსაბჭოს სამდივნომ მიავლინა [illegible]თა კავშირის მდივანი ამხ. ბ. [illegible].

ჩათახის ქარხნის მუშების დაზღვევათ.

პროფსაბჭოს სამდივნომ მოისმინა ბორჩალოს სამპროფბიუროს პ. მ. მდივნის ამხ. პანიცკის ინფორმაციული ცნობა ჩათახის ქარხნის მუშების დაუზღვევლობის შესახებ. მიეცა წინადადება რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს და მელითონეთა კავშირს სასწრაფოთ გაატაროს ქარხნის მუშების დაზღვევა.

ბორჩალოს მაზრის დამზღვევ სალაროსადმი დავალიანების შესახებ.

პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა ბორჩალოს სამაზრო პროფბიუროს სასწრაფოთ წარმოადგინოს ცნობები დამზღვევ სალაროსადმი დავალიანების შესახებ.

ბორჩალოში შრომის ინსპექტორის შტატის შემოღების შესახებ.

პროფსაბჭოს სამდივნომ მიანდო ბორჩალოს სამპროფბიუროს მოელაპარაკოს ადგილობრივ აღმასკომს შრომის ინსპექტორის შესახებ.

ლეჩხუმის სამაზრო პროფბიუროში.

საბჭოთა მუშაკების კავშირის ლეჩხუმის სამაზრო განყოფილებამ დაადგინა აიყვანოს აღრიცხვაზე წერა-კითხვის უცოდინარი პროფბიუროში შემავალი წევრები მათ შორის წერა-კითხვის სალიკვიდაციო მიზნით.

თელავის სამაზრო პროფბიუროში

თელავის სამპროფბიუროს დადგენილებით თელავის მაზრაში, მომუშავე დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის მოწვეული იქნება ექიმი.

დამზღვევ სალაროსადმი დავალიანების ლიკვიდაცია.

თელავის სამაზრო პროფბიურომ წინადადება მისცა კავშირის ყველა, სამაზრო განყოფილებებს „მოახდინონ დამზღვევ სალაროსადმი დავალიანების ლიკვიდაცია და შემდეგში ყოველ თვიურად რეგულიარულად შეიტანონ კუთვნილი ანარიცხები.

აფხაზეთის პროფსაბჭოში.

აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმ „არაზინდო"-ში დასასვენებელ ადგილებზე გაიგზავნებიან მხოლოდ წარმოებებში მომუშავე მუშები.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირში

საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ აღიძრა შუამდგომლობა ა | კ. პროფსაბჭოს წინაშე, რათა ა | კ. ფოსტელ მომუშავეებს ხელფასი გათანასწორებულ იქნეს საკავშირო რესპუბ. ფოსტელ მომუშავეების ხელფასთან.

შრომის კანონების დარღვევის შესახებ.

ა | კ. ფოსტელ მომუშავეთა კავშირის საოლქო გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბერძენიშვილის ინფორმაციულ ცნობა შრომის კანონის დარღვევის შესახებ. ამხ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ გამგეობაში მოსულ ცნობების მიხედვით, ავათმყოფობის გამო მუშა-მოსამსახურეთა შვებულებაში წასვლის დროს ფოსტელების კომისარიატი არ აძლევს უფლებას დაიჭიროს მათი სამაგიერო და ადმინისტრატიულ პირებს აძლევენ წინადადებას დაკმაყოფილდენ არსებული შტატით.

საოლქო კომიტეტის დადგენილებით გამოიცემა კავშირის და ადმინისტრაციის ხელმოწერილი ცირკულიარი, რომლის ძალითაც ავათმყოფობის გამო შვებულებაში მყოფ და სხვ. შემთხვევის გამო შვებულებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ნაცვლათ უნდა იქნენ მოწვეული უმუშევრები.

უმუშევართა დახმარების რაოდენობა.

ფოსტელ კავშირის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით პირველი ჯგუფის უმუშევრებს ტფილისში, ბათომში და ბაქოში მიეცემათ დახმარება თვიურად 8 მან 30 კ ა | კ. დანარჩენ ადგილებზე—8 მან. მეორე ჯგუფისას—6 მან.

მკერავთა კავშირში

მკერავთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით მკერავთა კავშირის ავათმყოფ უმუშევარ წევრებს მიეცემათ 20 მან. დახმარების სახით

რკინის გზებზე

— **შპალების დამზადება** ამ.-კავკ. რკ. გზ. სამმართველომ საჭიროთ სცნო რკ. გზების საჭიროებისათვის შპალების და ბოძების შეძენა. ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საქართველოს და სომხეთის ტყეები, ამისთვის გზათა სამმართველომ გადასწყვიტა ლენქორანის ტყეებიდან შეიძინოს 60.000 ცალი შპალი და 50.000 კუბ. ფუტი ბოძები. ამის შესახებ სამმართველო მოლაპარაკებას იქონიებს ადერბეიჯანის მიწად-მოქმედების კომისარიატთან.

— **პურის ხორბლეულობის გადმოგზავნის დასაჩქარებლად** მთელი ხორბლეულობა, რომელიც გადმოგზავნილია ჩრდილოეთიდან ა.-კ. საჭიროებისთვის, აღებულია აღრიცხვაზე. რკინისგზებზე დაგვიანებას ამ ხორბლეულობის გადმოგზავნაში ადგილი არ ექნება.

— **მატარებლებზე ბუფეტების დაკეტვა** ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ საჭიროთ სცნო 1 აგვისტოდან ადგილობრივ მატარებლებში დაკეტოს ყველა ბუფეტები. გამოწვეულია ეს სამგზავრო ვაგონების სიმცირით.

— **ბაქანზე გასასვლელი ბილეთები** ა.-კ. რკ. გზის სამმართველო სადახურში აწესებს ბაქანზე (პერონზე) გასავლელ ბილეთების გაყიდვას.

— **პოლიტსამდივნოს ახალი უფროსი.** ა.-კ. გზათა სამმართველოს ადმინისტრატიულ სამსახურის და პოლიტსამდივნოს უფროსად დანიშნულია ამხ. გიორგი ჩხეიძე.

— **ახალი ორთქლმავლები.** ა.-კ. რკ. გზ. სამმართველო თავის განკარგულებაში მიიღებს ორ ახალ ორთქლმავალს. ორთქლმავლები გაკეთებულია „ოქტომბრის რევოლიუციის" სახელობის ქარხანაში.

— **მატარებლის გადავარდნა.** 28 ივლისს. სად. ლედნეტ და ხუდატს შუა, მატარებელი № 22 დაეჯახა კამეჩს, რის გამო ერთი საქლასო ვაგონი გადასცდა ლიანდაგს. მგზავრებიდან რამოდენიმე დაშავდა. გზა გაფუჭდა 15 საჟენის სიგრძეზე.

— **ეკონომიური მუზეუმი.** სამმართველოს მიზნათ აქვს ეკონომიურ განყოფილებასთან გახსნას ეკონომიური მუზეუმი.

შრომის სასამართლოში

ნოტარიუსის ოინები.

შრომის სასამართლომ მიიღო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისა და შრომის ინსპექტორისაგან საგამომძიებლო მასალა ნოტარიუს სტრახოვის კანტორის მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ.

როგორც ამ მასალიდან სჩანს ნოტარიუს სტრახოვის მოსამსახურეებს მტკიცე ჯამაგირის მაგიერ დაწესებული ქონდათ განსაზღვრული პროცენტი კანტორის საერთო შემოსავლიდან. ადვილათ გასაგებია, რომ შემოსავლის ასეთ განაწილებას მაცდუნებელი გავლენა უნდა მოეხდინა დაწესებულების ხელმძღვანელებზე, რადგან ის, რაც დააკლდებოდა მოსამსახურეების ჯიბეს მოემატებოდა დაწესებულების პატრონის დოვლათს. და მართლაც, ამგვარ ხელსაყრელ მდგომარეობის შესაქმნელათ კანტორის ხელმძღვანელებს ყოველი ზომა მიუღიათ: პირველყოვლისა ნოტარიუს სტრახოვის მოადგილემ ისარლოვმა და მისი უშუალო თანაშემწეებმა—ხატისოვმა და ბაიბურსკიმ თავიდან მოიცილეს როგორც ზედმეტი ბარგი შემოსავალ-გასავლის და სხვა საანგარიშო წიგნები. როდესაც „უმცროსი" მოსამსახურეები ფრთხილათ მიუთითებდენ მათ ამ უხერხულ გარემოებაზე, ისარლოვი დათხოვნით დაემუქრებოდა. მაგრამ ეს არ კმაროდა. მოსამსახურეთა საანგარიშო წიგნაკებში ისარლოვი აღნიშნავდა ნაკლებ თანხას, ვიდრე მოსამსახურეებს ფაქტიურათ ქონდათ მიღებული, რათა დამზღვევ ქ „გადასაყრელი" ფულიც ნაკლები ფილიყო. არსებობდა კიდევ ე წყარო ეკონომიისათვის. ეს ა ზედმეტი „გასამრჯელო" ჩვეულებრივ კანონიერ შემოსავლის გარეშე,—ისარლოვ-ხატისოვ-ბაიბურსკის მონოპოლიური საკუთრება.

შრომის სასამართლომ, განიხილა რა საქმე, დაადგინა გადასცეს იგი ოლქის სასამართლოს, რადგან საქმე შეიცავს არა შრომის კანონების დარღვევას, არამედ სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებას.

ა. გრიშაკოვის საქმე.

მეორე საქმე, რომლის განხილვაც სასამართლომ გადასდო შემდეგისათვის მოწმეების დაუსწრებლობის გამო, შეეხება ქალაქის სასაკლაოს. ამ დაწესებულებაში მსახურობდა ზეინკალი ა. გრიშაკოვი. მას რამდენიმე წერილი ქონდა მოთავსებული „რაბოჩაია პრავდა"-ში სასაკლაოს ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ. ერთ დღეს (მიმდინარე წლის მაისში) სასაკლაოს ადმინისტრაციამ გრიშაკოვი დაითხოვა „[illegible]ნანსების ცირების გამო". გრიშაკ[illegible] შრომის სასამართლოს ს[illegible] საკლაოს ადმინისტრატორ[illegible]რამ სასამართლოს სხდომაზე თვითონ არ გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას, რომელშიაც მონაწილეობენ მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებიც, დაუდასტურებია მუშკორ გრიშაკოვის დათხოვნა.

ქრონიკა

— **წითელი ტრაქტირი.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა ღრა-ღელეში არსებული კერძო სამიკიტნოები დახუროს და სამაგიეროთ გახსნას წითელი ტრაქტირები.

— **შავი ჭირის წინააღმდეგ.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრებში დააგზავნოს უფასოთ ვაქცინები საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

— **სანავთსადგურო გადასახადებიდან განთავისუფლება.** ა—კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს სანავთსადგურო გადასახადიდან ის საქონელი, რომელიც [illegible] რაციო მიღებული იქნება ამერიკულ-უყოვ-რე კომიტეტის სახელზე. ლიხთა[illegible]

— **ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტების ექსკურსია** კომისართა საბჭომ ტფ[illegible] ლიტეხნიკუმის სტუდენტ[illegible] საფრანგეთის მოსაწყობად გ[illegible]თ და ნა[illegible] მან.

[illegible] შესახებ. ნა[illegible]

— **საბჭოთა კ[illegible]** [illegible]კითხის შესახებ **გრაფის სახალხო** [illegible] საარბიტრაჟო **ლისში. ტფილის**[illegible]ს, რომელმაც თა კავშირის ფ[illegible] მოკავშირეთა და ხალხო კომისარ[illegible] შექმნილი უთან[illegible] ამიერ-კავკასიის კომისარიატის [illegible]ბათ.

[illegible] კონ[illegible]ტორების უკმაყოფ[illegible] [illegible]შათა პარტიის დე[illegible] [illegible]კად უპასუხებდენ: „ხ[illegible] რაკოვსკი, რომელიც [illegible] უცხოელთა გალერეაში

მუშათა ცხოვრება

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ.

(გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას)

ამით გაცნობებთ, რომ ა. წ. 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პრესაში მოთავსებული მუშკორთა წერილების და ცნობების საშუალებით აღძრულია 14 საქმე, რომელთა შორის 6 დამთავრებულია გამოძიებით და 1 გადაეცა ქვემდებარეობისამებრ.

1 იმავე აპრილიდან 17 ამა ივლისამდე მოხდენილია 78 კვლევა-ძიება, მათში ჯერ-ჯერობით დადასტურდა 20, არ დადასტურდა 8 და დაუმთავრებელია 50. ქვემდებარეობისამებრ გადაცემულია 6 (შრომის სასამართლოში—2, სახალხო სასამართლოში—3 და სამხედრო რევტრიბუნალში—1). ამ ჟამად გამომძიებლის წარმოებაშია—5 საქმე, სახალხო გამომძიებლის—4, უფროს გამომძიებელთა—2 და დანარჩენი 9 კვლევა ძიება ინახება პროკურატურის საქმეებში.

იუსტიციის სახალხო კომისარი
მ. ვარძიელი.

ბრიყვი ქმარი ჭკუაზე მოიყვანეთ!

(ტრამვაის კომუჯრედის და ადგილკომის საყურადღებოდ)

ქ. თფილისის ტრამვაის პარკის მოსამსახურემ ნიკოლოზ თვრალაშვილმა შეირთო ერთი ობოლი ქალი, რომელიც ერთგული და კარგი დიასახლისი იყო თავის ოჯახისათვის. სცხოვრობდენ ბედნიერად 1924 წლამდის. ეხლა კი ნიკოლოზ თვრალაშვილს აღარ მოსწონს თავისი ცოლი, არ იბრალებს თავის პაწაწა შვილს და უმიზეზოდ სახლიდან ორივენი გააგდო. უბედური ქალი დარჩა ქუჩაში თავისი ბავშვით უიმედოთ და უსახლკაროდ. ეს ვაჟბატონი, ნ. თვრალაშვილი თავის მოვალეობაზედ ყურსაც არ იბერტყავს. იმედია, რომ ეს ამბავი გამოურკვეველი არ დარჩება.

მუშკორი კო-უუხი.

მოაქციეთ ყურადღება!

(პროფკავშირთა საბჭოს და შრომის ინსპექციის საყურადღებოდ).

შვიდი თვეა, რაც ვმუშაობ მეეზოვედ არსენალის შოსეზე № 7 (მელითონეთა კავშირის მუშაკთა სახლში) და ელისაბედის ქუჩაზე № 1 (იგივე სახლი), და ჯერ 5 მან. 30 კ. მეტი არ მიმიღია. მე ვსთხოვე სახლის გამგეს ჯამაგირის მომატება და კავშირში ჩაწერის შესახებ, მან მითხრა „თუ კავშირში არ ჩაეწერები, ჯამაგირს მოგიმატებო". დაუჯერე; ჯამაგირიც ისევ ისეთივე მაქვს და არც კავშირის წევრი ვარ.

ვსთხოვ, ვისაც ეხება ეს საქმე, დამიხსნან სიმშილისაგან და კავშირშიც ჩამწერონ.

მეეზოვე ოგანეზ ხაჩატურიანცი.

როგორ ჩაიარა მოსვენების დღემ მთაწმინდის რაიონში

მე აქ მინდა შევეხო იმას, თუ როგორ სარგებლობენ ზოგიერთი მუშები დასასვენებელი დღით.

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც ამ უბანში მცხოვრებმა მუშებმა დაიწყეს შეგროვება ეგრედ წოდებულ მეჟღვრის ქუჩაზე. ერთი ღამის უნახავი ამხანაგები დილით ერთიმეორეს თანაგრძნობით ესალმებოდენ ოხუნჯობით, ნიშნად ამხანაგური დამოკიდებულებისა.

სამიკიტნოების წინ იდგენ ჩაფიქრებული ვაჭრები, დუქნები ღია იყო და მოუთმენლად მუშტრებს ელოდებოდნენ.

არც გაუცრუვდათ მათ იმედი. სხვადასხვა ალაგას გაიმართა ქეიფი. გაჩაღდა ღვინით ვაჭრობა. ხალისიანად დაუაცურდნენ მიკიტნები. აღარ გაუვლია დიდხანს მეჯლისებიდგან მოისმა „მრავალ ჟამიერ". მზე დასავლეთისკენ დაეშვა. მთა-წმინდის მწვერვალიდან გრილმა ნიავმა დაუბერა. ღვინით შეზარხოშებული ხალხი გამოიფინა ქუჩაში.

შრომისგან განთავისუფლებულ ხალხში ასტყდა ბრძოლა. ასტეხეს გმირული ყიჟინი. დაფხრეწილმა ხალათებმა ჰაერში დაიწყეს ფრიალი. ორთავე საზღვრების მილიციელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ზავის ჩამოსაგდებად. ვაჭრები კი გულდამშვიდებით უყურებდნენ ამ სურათს.

ჩემთვის კი ეს სურათი სატირალი იყო. ამ გვარად ეს ოდესღაც რევოლიუციონერების აღმზრდელი უბანი დღეს უყურადღებოდ მიტოვებულია; აქ არც სამკითხველოა, არც მუშათა კლუბი, არც ლექციების კითხვა. აქ კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. და მშრომელი ხალხი ლოთობაში იხრწნება.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ უბანს.

მუშკორი გ—ში.

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში

ა. წ. 25 ივლისს აღნიშნულ ქარხანაში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე ჩვენი მუშები გამოცხადდენ უკლებლად. მოხსენება გააკეთა ამხ. რუბენმა. მომხსენებელი დეტალურად შეეხო იმ საშინელ სისხლის ღვრას, რომელიც გამოწვეული იყო მსოფლიო იმპერიალისტების, ბურჟუა-კაპიტალისტების გაუმაძღრობისა გამო ამ ათი წლის წინედ და რასაც მოჰყვა უსაშინელესი შედეგები და აუარებელი მსხვერპლი ადამიანების, მსოფლიო მეურნეობის განადგურება, სიმშილობა და სხვა.

ამ გარემოებამ მაინც ვერ მოაჰკუიანა ბურჟუები; ისინი დღესაც დაუძინებლად ემზადებიან ახალი, უფრო საშინელი ომებისათვის, თუ კი მათ ბოროტ-განზრახვას ბოლო არ მოუღო მსოფლიო სამოქალაქო ომმა, რომელიც ისახავს მშრომელი მასის გამარჯვებას და მჩაგვრელების სამუდამოდ მოსპობას და სხვა.

ამხ. რუბენის მოხსენებას ჩვენი მუშები აღტაცებით შეხვდენ და ფიცი დასდვეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავის სოციალისტური სამშობლო მსოფლიო მტაცებლებისაგან და სხ.

მუშები გამოსთქვამენ სურვილს, რათა ასეთი მოხსენებები ხშირად იმართებოდეს ფაბრიკაში.

მუშა მ. ვარსიმაშვილი.

რკინისგზელებში

რკინისგზელ მუშების მოგზაურობა დასასვენებელ სახლებისკენ.

(ერთი სურათი).

ბორჯომში რომ ჩავედით, უკვე ღამის ათი საათი იქნებოდა. ჩვენ კი წაღვერში ვიყავით გაწერილი. აგერ მატარებელიც ჩამოდგა და ყველა ერთად ერთ რონადში მოვექეცით. აგერ მესამე ზარიც მისცეს და მატარებელიც დაიძრა. გაუდგა თავის გზას. წყნარი ღამეა... და მშვენიერ მიდამოს თავს ადგია მნათობი მთვარე. მატარებელი მიჰქრის... ჩემი თანამგზავრები რაღაც ჩაფიქრებულები გაჰყურებენ ბუნების სილამაზეს და კოხტად მორთულ და მოკაზმულ მთებს. ამ დროს ერთი ჩემი თანამგზავრი ამხანაგი არღვევს სიჩუმეს და იგონებს წარსულ დროს. ეს მშვენიერი ბუნების უხვი სიმდიდრე უზარმაზარი ამაყი მთებით თავისი ქეკლუცი, ჩანჩქარ ნაკადულით წარმოადგენდა მჩაგვრელთა ქონებას. შეეძლოთ ესარგებლნათ იმით, მარტო მათ ვისაც კი ბევრი ფული ჰქონდა. ჩვენ კი, მუშებს, რომლებიც ვიყავით ჩაბმული წარმოებაში და ვწეოდით აუტანელ შრომას, არავინ გვაფიქრებინებდა დასვენებაზე. მაგრამ დრონი გამოიცვალენ, მჩაგვრელნი დამარცხდენ და ბუნების სიმდიდრე გადმოვიდა ჩაგრულთა ხელში და აი ჩვენც გვეღირსა აგარაკზე დასასვენებლად წამოსვლა.

ამასობაში მატარებელიც გაჩერდა და ჩვენ გადმოვედით რონოდიდან სადგურზე. აქ ერთი ახალგაზრდა კაცი დაგვიხვდა; გვითხრა: თქვენ რკინისგზელები ხართ. დიახ, უთხარით ჩვენ. მე თქვენ გიცდით, მე დასასვენებელი სახლის კომენდანტი ვარო, და წაგვიყვანა შინ.

მუშკორი მესხეთელი.

შეუწყნარებელი მდგომარეობა.

(რკ. გზ. საუბნო კავშირის და სამმართველოს საყურადღებოდ)

1923 წ. № 18-ის გზათა მიმოსვლის სახ. კომისარის განმარტების თანახმად ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ეწევიან დაუნორმავი შრომას (ненормированный труд) ეძლევათ ჯილდო.

დიდი ხანია, რაც ამ ჯილდოს მიღების შესახებ აღძრული იყო მიწერ-მოწერა ხაზის მოსამსახურეთა და სამმართველოს ადმინისტრაციას შორის.

დადგენილება შარშან გამოვიდა და მის შესრულება, როგორც ვხედავთ, მიმდინარე წელსაც ვერ ხერხდება.

მოსამსახურეთა სიები შემდგარია და დამტკიცებული გზათა უფროსის მიერ, მაგრამ საქმე მაინც ვერ კეთდება. აქ საგულისხმოა ერთი გარემოება:

მაშინ, როდესაც დაბალი მოსამსახურეების მიერ ჯილდო ჯერ კიდევ მიუღებელია, უფროსი ადმინისტრაციის კი კუთვნილი ჯილდო დახარჯულიც აქვს.

რაშია საქმე? რით აიხსნება ასეთი უპირატესობა?!

რკ. გზ. ბაგუნი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **შესასვენებელ სახლებში.** მთ. სახელოსნოების, ქსელის და ელექტროტეხნიკურ სამსახურების ადგილკომმა მიმართა თბ. საუბნო პროფკავშირს აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. დამზღ. კასასთან, რათა მთ. სახელოსნოების მუშები გაგზავნონ შესასვენებელ სახლებში.

— **საექიმო დახმარება ამხ. რკინისგზელებს.** იმავე ადგილკომმა იშუამდგომლა თბ. საუბ. პროფკავშირის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა მთავ. სახელოსნოებთან დააკავშიროს ერთი ექიმი მუდმივად ამხ. რკინისგზელებისათვის.

— **ურჩებს პასუხისგებაში აძლევენ.** თბ. საუბ. პროფკავშირმა მოსთხოვა პასუხი კონტროლიორ კურჩენკოს, რამოდენიმე ამხანაგ რკინისგზელებთან ცუდი მოპყრობის გამო.

— **„ზაკტპოს"-ს მაღაზია.** თბ. საუბ. პროფკავშირმა მოსთხოვა „ზაკტპოს"-ს გახსნას ნავთლუღში ერთი მაღაზია.

ფ.-ტ. რაიონულ კანტორების გამგეთა თათბირი. აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში შესდგება ა.-კ. ფ.-ტელეგრაფის რაიონულ კანტორების გამგეთა თათბირი ადგილობრივ მუშაობათა შესახებ სხვადასხვა საყურადღებო საკითხების გადასაჭრელათ.

— **ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.** პოლიტგანათლების [illegible] გამგეობამ 1923—24 წ. წე[illegible] [illegible] უცოდინარობასთან სა[illegible] [illegible] გახსნა 801 სკოლა [illegible] რომელშიაც [illegible]-კითხვას სწავლობდა 23,015 არა წერა-კითხვის მცოდნე.

— **დახმარება უმუშევრებს.** მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 5, 6 და 7 აგვისტოს [illegible] ივლისის თვის დახმარება ამავე [illegible] უმუშევარ წევრებს.

— **[illegible]ივი სოფლათ.** სოფ. ძეგვში ([illegible] მაზრა) ქსანის ქარხნის მუშების თაოსნობით ამ დღეებში გაიხსნება კოოპერატივი.

— **სტატისტიკური კურსები.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ დაადგინა სთხოვოს სახ. კომ. საბჭოს, რათა ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს გადასცეს 814 მან. საზაფხულო სტატისტიკურ კურსების მოსაწყობათ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ.** საქ. უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა კოოპერატიულ დაწესებულებებს პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის განკარგულებაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ გადასცენ [illegible] პროც. საერთო შემო[illegible]

[illegible] საქმეთა სამან[illegible] [illegible]თა ოხრანკის [illegible]

— [illegible]ფონის ქსელის შეკეთება. ამ ჟამად სწარმოებს თბ. ქალ. ტელეფონის ქსელის შეკეთება; სცვლიან ბოძებს და აბამენ ახალ მავთულებს.

— **ქალაქის წისქვილი.** ქ. აღმასკომს განზრახვა აქვს ქალ. წისქვილის მუშაობის გასაუმჯობესებლათ დასდგას კიდევ ორი საფქვავი ქვა.

— **წყალსადენის ახალი აბონენტები.** [illegible]ების მომხრეებ[illegible]განმავლობაში წყალსადენ[illegible] [illegible]მზადებენ ზერთებულია 30 ახალი აბო[illegible] [illegible]

[illegible]ებული [illegible]ს მოსახლეობა. თბ. აღ[illegible] [illegible] თბ. მაზრის 309 [illegible] ჩვამად ირიცხება 26,867 [illegible] 33,603 სული ორივე [illegible] მხედრ[illegible] [illegible] საქონელზე [illegible] და ბაზ[illegible] [illegible] კომისიის დად[illegible] [illegible] დაჯა[illegible] ეს არის ერთად ერთაჯარი. [illegible] ბალკანეთის ნაზევი სივრცე მუ[illegible] განსაკუთრებით ბრო კოოპერა[illegible] და სამხრეთ [illegible] [illegible] და კომუნისტ[illegible]ციის ცნობით, მუშათა საცხოვრებელ სახლებში თვითეულ სულზე მოდის 24 კვად. არშინი.

— **დახმარება ინვალიდებს.** ა | წ. იანვრიდან 1 ივლისამდე თბ. დამზღვევ კასამ ინვალიდებზე დახმარების სახით გასცა 41,652 მან.

— **ქუთაისის საქსოვი ქარხანა.** საქ. უმ. ეკ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა | კ. უმ. ეკ. საბ. წინაშე ქუთაისის საქსოვი ქარხნისათვის 50,000 მან. გადადების შესახებ.

— **იაფი პური.** ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების (ზაკტპო) ფურნეები დღე-ღამის განმავლობაში აცხობენ 1200 ფ. პურს. ამავე საზოგადოებას განზრახვა აქვს აგვისტოში დასამხარ ადგილას გახსნას პურის ახალი საცხობები და გასაყიდი პუნქტები.

— **ტრამვაით მგზავრობის წესები.** ქ. აღმასკომი ამ ჟამად იმუშავებს ტრამვაით მგზავრობის ახალ წესებს. წესის დამრღვევი დაჯარიმებული იქნება ან დაპატიმრებული.

— **ინვალიდთა დამხმარე საზოგადოებაში.** საზოგადოების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღოს ზომები საზოგადოების წევრების გასამრავლებლათ.

— **წითელ-არმიელები და კოოპერაცია.** წითელ დროშოვანი არმიის № პოლკის წითელ-არმიელებმა დაადგინეს გაგზავნონ სახლებში წერილები და მოუწოდონ თავისიანებს ჩაეწერონ კოოპერატივებში წევრებათ.

— **ქვა-ნახშირი ტფ. ელექტრო-სადგურებისათვის.** ქალაქის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით, ივნისის განმავლობაში ტრამვაით გადაზიდულია 28,724 ფ. ქვანახშირი ტფ. ელექტრო-სადგურებისათვის.

— **ორჯონიკიძის სახელობის რკ. გზ. კლუბი (მუშტაიდი).** კვირას, 3 აგვისტოს ა | წ დანიშნულია საზეიმო გახსნა კლუბისა და ბაღისა, რის გამო გამართული იქნება დიდი სეირნობა—სალამო. დასაწყისი სალ. 8 საათ.

შემთხვევები.

— უბედური შემთხვევა. 29 ივლისს, 9 წლის ბავშვი ალექსანდრა ივანოვა მტკვარის ნაპირზე თამაშის დროს გადავარდა მდინარეში. ბავშვი დახრჩობას გადაარჩინეს მენავეებმა.

— შეპყრობა. 28 ივლისს, დღით შეიპყრეს იბრაგიმ სალიევი, რომელსაც უნდოდა წაეღო ელექტრო-ტრესტის მაღაზიიდან (რუსთ. № 10) ელექტრონის შემაერთებე-ლი, ღირებული 85 მ.

— ქურდობა. 28 ივლისს, სალამოს ფეიერკვერკის ქ. № 5, გაქურდეს მნაცაკანოვის ბინა: წაიღეს 250 მ. ნივთები.

ამავე დღეს ღამით მურავიევის ქ. № 14 გაქურდეს გატჩაკევას ბინა, წაღებულია 50 მ ნივთები.

პროვინციაში

სვირი (ქუთაისის მაზრა)

15 ივლისს შესდგა სვირის რაიონის მცხოვრებთა კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა საკითხი:

1) საგლეხო მომგებიანი სესხის შესახებ და 2) საკრედიტო ამხანაგობის დაარსება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. შ. კირკიტაძემ და გასაგები ენით განუმარტა გლეხობას საგლეხო სესხის მნიშვნელობა და სარგებლიანობა. შემდეგ დასახელებულ იქნა თვითეულ თემიდან თითო კაცი კომისიის წევრებათ, რომლებსაც დაევალათ გლეხთა მომგებიანი სესხის ობლიგაციების გასაღება გლეხობაში. საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა სასოფლო სამეურნეო ბანკის გამგეობის წევრმა ამხ. დუმბაძემ.

მოხსენების დასრულების შემდეგ ამხ. დუმბაძემ მოუწოდა—მსურველნი დარჩენილიყვენ და ჩაწერილიყვენ საკრედიტო ამხანაგობის წევრთა სიაში.

ამხანაგობაში ჩაწერილ 91 კაცის მონაწილეობით შესდგა საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობის დამფუძნებელი კრება.

კრების დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ამხანაგობის წესდების გარჩევა და დამტკიცება, 2) საპაიო თანხის რაოდენობა, 3) ერთდროული გადასახადი, 4) საწევრო და საპაიო თანხის გადახდის ვადა, 5) ამხანაგობის თითოულ წევრის პასუხისმგებლობის განსაზღვრა, 6) გამგეობის საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საპაიო თანხის რაოდენობა განსაზღვრულ იქნა თვითეულ მეურნეობაზე 10 მანეთი, კოლექტიურ ერთეულზედ 150 მანეთი.

ერთდროული საწევრო გადასახადი თვითეულ წევრზე განსაზღვრულ იქნა 50 კაპ. კოლექტივისათვის 5 მანეთი. ერთი მეოთხედი საპაიო თანხის და საწევრო გადასახადი გადახდილ იქნას ორ კვირის განმავლობაში.

თვითეული წევრის პასუხისმგებლობა განისაზღვრა მასზე გახსნილი კრედიტის ათმაგ რაოდენობით. გამგეობაში არჩეულ იქნა ერთხმათ კოწია გამყრელიძე, ბაგრატ ჯულელი, შალვა კირკიტაძე, კანდიდატებათ: იონა ცხადაძე და გიორგი ბერძული. საბჭოში არჩეულ იქნენ: ბაბილო ჩხეიძე, დათიკო მაღლაკელიძე, იუსტინე წაქაძე, გიორგი ღვენეფაძე და დავით შულაძე.

სარევიზიო კომისიის ფუნქციები დაეკისრა საბჭოს.

ს. გიგინეიშვილი

ფოთი—დიდი კუნძული

დიდი კუნძული წარმოადგენს ფოთის ერთ-ერთ საუკეთო ნაწილს ჰავისა და ლამაზი მდებარეობის მხრივ; ის იწყება იქ, სადაც მდინარე რიონი შესართავთან იყოფა ორ ნაწილად: გაჭიმულია რიონის სამხრეთ შტოის და ჩრდილოეთის შტოს შუაშავ ზღვამდე. ქუჩები ყველგან გაყვანილია პლანზე და რაც შეიძლება მჭიდროდ დასახლებულია ხალხით.

მდინარე რიონის ჩრდილოეთის შტო თანდათანობით ანადგურებს კუნძულის ჩრდილოეთის ნაპირს, და ლამის არის ხილვოვის გამზირამდე გამოვიდეს და მთელი ტერიტორია გაანახევროს. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ რიონის სამხრეთ აღმოსავლეთის შტო თითქმის სანახევროდ მოისილა და მისი მარცხენა ნაპირები ნავებისათვის მიუვალი გახდა, ამიტომ წყლის მთავარი მიმდინარეობა შეიცვალა და სავსებით დააწვა ჩრდილოეთის შტოს, რითაც ის ძლიერ გაღრმავდა და გაფართოვდა, რომლის სიგანე იქნება არა ნაკლები 200 საჟენისა.

მდინარის ადიდება იმდენად არ არის საზიანო ნაპირებისათვის, რამდენად შემოდგომის და ზამთრის ძლიერი ქარები; აღმოსავლეთიდან ამოვარდნილი ქარი, რომელიც აქ გამუდმებით იცის, აჩენს დიდ ტალღებს, მისი ძლიერი დარტყმა ერთბაშად ანგრევს ნაპირებს. ამნაირად 1 ნახევარ ვერსის მანძილის გასწვრივ ყოველწლიურად ათეულ საჟენობით მიაქვს მიწა წყალსდა ამცირებს ტერიტორიას.

ამ ხნის განმავლობაში 20—30 სახლ-კარი აყრილია ადგილიდან, ამ მიზეზით, ზოგი მათგანი სავსებით დაზარალდა.

წელს კრიტიკულ მდგომარეობაში არიან დაახლოვებით 10-12 მოსახლე: საჭიროა მხოლოდ შემოდგომის ერთი ჩვეულებრივი ქარი, და ყველანი წყალს მოყვებიან, თუ თავის დროზე არ უშველეს.

სამწუხაროა, რასაკვირველია, ამდენი მოსახლეობის აყრა და გადასახლება, მაგრამ მეტ წილად სამწუხაროა ის, რომ კუნძულს, როგორც ასეთს, სისტემატიურად ეკარგება სახე ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობისა და ის გამოუსადეგარი ხდება, რასაც, ცხადია, ადგილობრივი ხელისუფლება არ დაუშვებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს დიდი ხარჯები და მუშაობა სჭირია.

ვ.

სოფ. შუხუთი (გურია)

აქაური მცხოვრებთა შემოსავალი სიმინდის მოსავალზეა დამყარებული, მაგრამ წელს გვალვის გამო ყანები დაუთესავი დარჩა.. შემდეგ მოსულმა დიდმა წვიმებმა რაც დათესილი იყო, ისიც გააფუჭა. ძველს სიმინდს ფასი არ აქვს; ფუთი ღირს დღეს არა უმეტესი სამი აბაზისა, ახალ მოსავალს ყველა უიმედოთ შეჰყურებს. ამ მხრივ მდგომარეობა სერიოზულია. ძველი სიმინდის შენახვა არ ხერხდება.

ამ სოფელს სასწავლებლისთვის სათანადო ბინა არ მოეპოვება. არსებობს ქვის ხუთთვალიანი შენობა, მაგრამ სამწუხაროთ მოუვლელობის გამო—მისი შენობა უკვე ნახევრათ გაფუჭებულია, კარები და ფანჯრები დამტვრეულია სამწუხაროა, რომ დღესაც სასწავლებლის კარები ღიათ არის დატოვებული, ბავშვები შედიან შიგ და ამტვრევენ პარტებს. ამ სასწავლებელში არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ დღეს არც ერთი წიგნი არ მოიპოვება. ვინ დაიტაცა და გაფლანგა, გამოურკვეველია.

შუხუთში დიდი ხანია დაიწყეს ორსართულიანი ქვის შენობის აგება. საბჭოთა მთავრობის გამოცხადებიდან ადგილობრივმა ამხანაგებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და დღეს შენობის შენება უკვე დამთავრებულია, ის უკვე დახურულია. დამზადებულია აგრეთვე საჭირო ხიმასალაც, მხოლოდ უფულობის გამო მუშაობა შეჩერებულია.

გზების შეკეთების საქმე ამ თემში ვერ არის დაყენებული. საჭიროა სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ მნიშვნელოვან საქმეს ადგილობრივმა ამხანაგებმა.

ს. ბზეკალავა.

დიდი სეტყვა ენისეულში (კახეთი)

4 ივლისს დიდი უბედურება ეწვია ენისეულის რაიონის მოსახლეობას (თელავის მაზრა). კაკლისტოლა სეტყვამ, რომელიც ნახევარ საათის განმავლობაში უშენდა დედამიწას, მთლიანად გაანადგურა ოთხი სოფელი და ნაწილობრივ სამი. ვენახები გასახლავად გახადა, ნათესები და ბოსტნები მიწასთან გაასწორა ენისეულში, გრემში, ლაფანყურეში და გრძელქალაში. სოფლები საბუე, შილდა და ალდგომა დასეტყვა ნაწილობრივ. დასეტყვილ ვენახების სივრცე 200 დესეტინას უდრის.

წელს ამ რაიონში საუკეთესო ყურძნის მოსავალს მოველოდით, რადგან ფილოქსერაც ჯერ აქ არ იყო და სამაგალითოდ ესხა. დასეტყვილ ყანების სივრცე 1500 დესეტინამდე იქნება. საერთოდ წელს ჩვენში პურის მოსავალი ძალიან სუსტია, მაგრამ დასეტყვილი რაიონი მოსავლის გამომკვლევ კომისიამ მაინც პირველ კატეგორიას მიათვალა სეტყვის რამოდენიმე დღის წინეთ. გრემის დაჩაში დასეტყვილია აგრეთვე ტყე 600 დესეტინამდე.

ამ რაიონში მარტო შილდელებს ჰქონიათ სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები. მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერი ქარი იყო, შუშხუნებმა დაიცვეს შილდის ვენახების ოთხი მეხუთედი და დაისეტყვა მხოლოდ ბოლო, სადაც შუშხუნების სადგური მოწყობილი არ იყო. ვენახები დაზღვეული არ ყოფილა. ჭირნახულზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მოსახლეობას მოუსწრია 10—15 პროც. მოსავლის აღება (პურის), მხოლოდ ქერები არ მომკილა საჭიროა დახმარება.

ალაზნელი.

ს. შინდისი (ქართლი)

10 ივლისს ნაშუადღევს ჩვენს სოფელს თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება. ჯერ დილიდანვე განუწყვეტლივ ქროდა ქვენა (აღმოსავლეთის) ქარი, უცებ ეს ქარი შეიცვალა ნაშუადღევის 5 საათზე არ გაგონილი დიდი (დასავლეთის) ზენა ქარით. ყველას ეგონა, ამ არაჩვეულებრივ გრიგალს უეჭველათ დიდი სეტყვა მოჰყვებოდა, მაგრამ საბედნიეროთ ეს არ მოხდა, თუმცა არც გრიგალმა დააყარა ხეირი სოფელს. ხეები მილეწ-მოლეწა, ზოგან ძირიანათ ამოგლიჯა, არამც თუ პატარა ხეები, არამედ ასწლოვანი ნიგვზის უზარმაზარი ხეებიც.

ბაღებში ძვირფასი ევროპიული ჯიშის ხეხილი ზოგი დალეწა, და რაც გადარჩა, იმას ხომ ხილი სულ გაუყრევინა. იყო მაგალითი ხალხის მოტაცებისა. ერთი კაცი მდინარე დიდ ლიახვის პირზე ნარიყს აგროვებდა. გრიგალის დაწყობისთანავე გოდორში შეძვრა, გოდორი კაცით ცაში აიტაცა, რამოდენიმე საჟენის სიმაღლეზე კაცმა ხელი უშვა გოდორს, ძირს ჩამოვარდა და დიდ ქვებს მოებღაუჯა, რომ ქარს არ წაეღო. ნახევრათ გაცელილ მინდორში ბულულები აიტაცა და გაფანტა. ამნაირათ რამოდენიმე წუთში მთელი წლის სარჩო ერთბაშათ გაანადგურა. გადარჩა გაუცელავი ყანები. ბევრგან სახლებს სახურავები მოგლიჯა. საბედნიეროთ გრიგალი მალე შეჩერდა, სულ არ უქროლია 3 წუთზე მეტი, თორემ, თქვენი მტერი, თუ იგი ხანგრძლივი ყოფილიყო, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა. არის შემთხვევები ზოგიერთ პირის ჭკუიდან შეშლისა. ერთი დედა-კაცი ქადაგათ დაეცა. ცრუმორწმუნე ხალხი ამ მოულოდნელ უბედურებას „ღვთის რისხვას" აწერს.

სალამოზე სოფლის კანცელარიასთან მოგროვდა თვალცრემლიანი დაზარალებული ხალხი. შესდგა ყრილობა, სადაც ამოირჩიეს რამდენიმე კომისია უბან-უბან ზარალის გამოსარკვევათ.

დაზარალებული ხალხი დიდ გასაჭირში, ჩავარდნილი და აღარ იცის მომავალ წლამდის რითი გაიტანოს თავი. აუცილებლათ საჭიროა სასწრაფო დახმარება. დაზარალებულია 315 კომლი კაცი. ნათქვამია—თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო. წრევანდელი მინდვრის მოსავალი ჯერ ისედაც ერთობ ნაკლები იყო გაზაფხულის გვალვებისა გამო, და ეხლა ეს ნაკლები მოსავალიც ქარმა სულ მოიტაცა და ხალხი ულუკმა-პუროთ დასტოვა.

ს. წერეთელი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის № 170-ში განყოფილებაში—საბჭოთა სასამართლო მოთავსებული იყო ცნობა, რომ პასუხისგებაშია მიცემული რახილ მოშიაშვილი. პასუხისგებაში მიცემული ვიყავი მე—რახილ მიხეილის ასული მოშიაშვილი კი არა, არამედ რახილ იუშვაგის ასული მოშიაშვილი, რის შესახებ შესაფერ მოწმობას ვარდგენ მეორე უბნის სახალხო მოსამართლოსაგან *).

რახილ მიხეილის ასული
მოშიაშვილი.

---

*) აღნიშნული მოწმობა წარმოდგენილი იქნა რედაქციაში.

რედ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განმარტება

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„სისტემატიური მიმოსვლის დროს მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

ვინაიდან ადგილი აქვს შეკითხვებს იმის შესახებ, რომ სავალდებულოა თუ არა მივლინების ხარჯების ანაზღაურება იმ პირთათვის, რომელთაც სისტემატიურად უხდებათ მიმოსვლა სამსახურის საქმეებზე, ამიტომ ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც მათი მუშაობის ხასიათის გამო უხდებათ სისტემატიურად მგზავრობა „მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 23 წლ. 25 მაისის თარიღით და 57-№-ით გამოცემულ დადგენილებით დაწესებულ ყველა გასაცემ ჯილდოს ნაცვლად შეიძლება დაწესებულ იქნეს მტკიცე დამატებანი ძირითად ჯამაგირზე.

აღნიშნული დამატებანი შეიძლება დაწესებული იქნეს კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებებით.

ა | კ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე—ა. იაშვილი.
საქმეთა მმართველი: ფალავა.

განმარტება

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის ივლისის 15.

„შრომის კანონთა კოდექსის 104 მუხლის შენიშვნისათვის".

ვინაიდან ისევ გრძელდება ბოროტ-მოქმედება ზედმეტი სამუშაოებით იქ, სადაც ისინი არ არიან გამოწვეული აუცილებელი საჭიროებით და მათი წარმოების დროს არ არის დაცული კანონის ყველა მოთხოვნილება, ამიტომ ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ შრომის ინსპექტორებიდან ნებართვის აღება სავალდებულოა ყველა შემთხვევებში, მათ შორის აგრეთვე მაშინაც, როცა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას დადგენილი აქვს ზედმეტი მუშაობის წარმოება. ზედმეტი მუშაობის დაწყების ან შეწყვეტის შესახებ შრომის ინსპექტორის შეტყობინებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სრულიად გადაუდებელ შემთხვევებში.

ა | კ. შრომ. სახ. კომ. მოადგილე ა. იაშვილი.
შრომ. დაცვის გან. გამგე ს. გოდაბრელიძე.

დადგენილება № 104.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„მოწაფეობის წესების და მოწაფეთათვის სანიმუშო შრომის ხელშეკრულების შეცვლის შესახებ".

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. ა | კ. შრომ. სახ. კომისარიატის მიერ 23 წლის 12 ნოემბრის თარიღით და 64 №-ით გამოქვეყნებული დადგენილების „წესები მოწაფეობისა [illegible], სახელოსნო, შინა მრეწველობის და სარეწაო კოოპერატივებში" (ა. კ. შრომ. სახ. კომ. უწყებები № 6) მეორე მუხ. პარაგრ. „გ" და ა | კ. შრომის სახ. კომისარიატი დადგენილებასთან № 96 (ა. კ. შრომ. სახ. კომისარიატის უწყებები—№ 9—10) თანდართულ მოწაფეების სანიმუშო შრომის ხელშეკრულების მე-7 პარაგრაფ. ლიტ. „გ" შესაცვლელად დაწესდეს, რომ პროფესიის გამოცვლის სურვილის შემთხვევაში მოწაფე მიერ ვადის გასვლამდე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მოწაფე ვალდებულია გააფრთხილოს ოსტატი წასვლის შესახებ კვირეული ანგარიშიანობის დროს არა ნაკლებ ვიდრე ერთი დღით ადრე, ხოლო ორ კვირეული ან თვიური ანგარიშიანობის დროს კი არა ნაკლებ ვიდრე შვიდი დღით ადრე ხელშეკრულების დარღვევამდე.

2. მოწაფეებისათვის სანიმუშო შრომის ხელშეკრულების მე-3 პარაგრ. ლიტ. „დ" გამოითქვას შემდეგი რედაქციით „მიეცეს წელიწადში ერთხელ ერთი თვის შვებულება ხაეფულში, ადგილიდან გასვლის უფლებით მე-4 პარაგრ. აღნიშნულ ხელფასის შენახვით და მისი გადახდით წინდაწინ შვებულების მთელი ვადისათვის, მასთან [illegible] შვებულება მიეცეს მუშაობის დაწყებიდან 5. 1 | 2 თვის გასვლის შემდეგ".

ა | კ. შრომ. სახ. კომ. მოადგილე იაშვილი.
შრომ. დაც. გან. გამგე ს. გოდაბრელიძე.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის.

ცირკულიარი № 125

„ზოგიერთი შეღავათიანი ტარიფის შეცვლის შესახებ".

დამატებით ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წლის 14 აპრილის თარიღით გამოცემულ ცირკულიარისა და ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომ., ს. ს. რ. კ. გზათა, კომისარ. და რ. ს. ფ. ს. რ. სოც-უზრუნველყოფის კომისარიატის ინსტრუქციისა („ა. კ. შრომ. სახ. კომისარიატის უწყებები" № 8) ამით გაცნობებთ სახელმძღვანელოთ და ცნობად, რომ ს. ს. რ. კ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ა | წ 10 მაისის თარიღით, 50 პროც. შეღავათიანი სამგზავრო ტარიფი შრომის სახალხო კომისარიატის კონტინგენტისათვის შეცვლილია 25 პროც. შეღავათიანი ტარიფით, პრაქტიკაზე მივლინებულ უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტთა და მუშ-ფაკების მსმენელთა უფასოდ მგზავრობა შეცვლილია 50 პროც. შეღავათიანი ტარიფით.

ა | კ. შრომის სახ. კომ. მოადგილე იაშვილი.
საქმეთა მმართველი ფალავა.

ცირკულიარი № 126

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

შრომის კოლექტივების ანგარიშების წარმოდგენის ვადების შეცვლის შესახებ".

შრომის ბირჟების უწყებაში მყოფ კოლექტივების ანგარიშების წარმოდგენის იმ ვადების შესაცვლელად, რომელიც დაწესებული იყო ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 24 წლის ნოემბრის 29-ს თარიღით და 101-№-ით გამოცემულ ცირკულიარით („ა.-კ. შრომ. სახ. კომ. უწყებები" № 6) ა. კ. შრომ. სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევთ გადმოგზავნოთ ასეთები ა | წ 5 აგვისტოს 1-დან დაწყებული სამი თვის ანგარიშების სახით.

ანგარიშებში აღნიშნული უნდა იქნეს აუცილებლად კოლექტივების ლიკვიდაციის თარიღები, რომელთა შეწყვიტეს ამა თუ იმ მიზეზის გამო თავის არსებობა და აგრეთვე ახალი კოლექტივების მოწყობის თარიღები.

ყველა ანგარიშები, რომელიც არ იქნება გამოგზავნილი 1924 წლის აგვისტომდე უნდა წარმოადგინოთ არა უგვიანეს ა | წ 15 სექტემბრისა.

ა | კ. შრომის სახ. კომისრის მოადგილე ა. იაშვილი,
შრომის ბირჟის გამგის მაგიერ კრუგლიკოვი.

ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

№ 2.

17 ივლისი 1924 წელი
ქალ. ტფილისი.

თანახმად საქართველოს ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატისადმი ბრძანებისა ა. წ. 28 აპრილის თარიღით № 60, ცხადდება სახელმწიფო დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ დაარსებულია ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი.

ქ. ტფილისში, ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებებმა და ამ მაზრებში მცხოვრებ მოქალაქეებმა სათანადო შემთხვევებში უნდა მიჰმართონ დასახელებულ კომისარიატს (ჯორჯიაშვილის ქ. ყოფილი ბარიატინსკის № 8, გარდა აღრიცხვის საკითხებისა, რის შესახებაც უშუალოდ უნდა მიმართონ ქალაქის სამილიციო უბნებთან და რაიაღმასკომებთან არსებულ სამხედრო მაგიდების გამგეებს.

ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარი
საყვარელიძე.
თანაშემწე ფანჯავიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცკას საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს პარტიის დისციპლინის მიხედვით გამოცხადდენ არა უგვიანეს სამშაბათისა (5 აგვისტოს). ს, კ. პ- ცენტრალურ კომიტეტში: 1) დავითარია ლავრენტი, 2) დოლიძე სიმონი, 3) გაჩეჩილაძე შალვა, 4) დემუროვ გარეგინ. 5) ოდილავაძე შალვა, 6) გიუზალიან, 7) ნუცუბიძე გალაქტიონი, 8) მაშკევიჩ ზიქარი, 9) მხეიძე პეტრე, 10) ტაკოევ სტეფანე, 11) გოგიჩაიშვილი, 12) შანიძე ვალენტინ, 13) რაპავა აქვსენტი.

გამოუცხადებლობისათვის დასჯილი იქნებიან პარტდისციპლინის წესით.

ცკას საარიცხვო-განმანაწ. განყ. გამგე—მ. ჯაფარიძე.

განცხადებები

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება პარტიის წევრის ამხანაგ

ბაიანე მახნაზაროვას

გარდაცვალების შესახებ. დასაფლავება მოხდება შაბათს, 2 აგვისტოს, დღის 4 საათზე. ცხედარის გამოსვენება ბინიდან-კაბგეროვის ქ. № 35. ნ. 1376 1—1

თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის ადმინისტრაცია

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სახელმწ. კონსერვატორიის და სახელმწ. სათეატრო ინსტიტუტის რეორგანიზაცია დამთავრდა და ამიერიდან იარსებებს გაერთიანებული

საქ. ს. ს. რ. სახელმწ. კონსერვატორია შემდეგის შემადგენლობით:

კონსერვატორია, დრამატიული და საოპერო სტუდიები

სახ. კონსერვატორიის და სახ. სათეატრო ინსტიტუტის ყოფილმა მოწაფეებმა და კონსერვატორიაში თუ დრამატ. სტუდიაში ახლად შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება კონსერვატორიის რექტორის სახელზე არა უგვიანეს ამა წლის 15 სექტემბრისა; განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები, რა სპეციალობა სურთ შეისწავლონ და თან დაურთონ; 1. მეტრიკული მოწმობა, 2. განათლების მოწმობა და 3, ვაჟებმა-სამხედრო ბეგრასთან დამოკიდებულების დოკუმენტი.

მიღება მოხდება გამოცდით. გამოცდაზე ყველანი უნდა გამოცხადდენ 20 სექტემბერს, კონსერვატორიის შენობაში.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კონს. კანტორაში. რომელიც ღია არის 1 ენკენისთვემდის ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით 9—12 ს. ხოლო 1 ენკენისთვიდან ყოველდღე.

ნ. 1377 3—1. სახელმწ. კონსერვატორიის ადმინისტრაცია.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო-ადმინისტრატიულ განყოფილებასთან არსებული კომისია ამით აცხადებს,
რომ 7 აგვისტოს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

15 ცალ სხვადასხვა სისტემის მსუბუქ მანქანების (ავტომობილების) გასასყიდათ.

მანქანების ვასინჯვა შეიძლება ყოველდღე სახალხო კომისართა საბჭოს სასახლის ეზოში, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

შესავალი სასახლის კომენდატურის კარებიდან.

სახ. კომისართა საბჭო სამეურნეო განყოფილების
ნ. 1370 5—2 გამგე—კ. მირიმანოვი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანაშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით.
ქ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—16

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი გაცემული იპოლიტე ნეფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1613 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი გაცემული ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატიდან თარიღით № 1946 და საწევრო წიგნაკი საექიმო სასანიტარო კავშირიდან მიხა პეტრიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1610 1—1

დაიკარგა ტრანსპორტის მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3517 კული მამედოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1607 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 900 არჩილ ალექსანდრეს ძე ბურდულოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1606 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის". სამ. წულუკიძის ქუჩა № 4.